

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



გიორგი გამხიტაშვილი

**„განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნონა თოდუა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2019

## სარჩევი:

გამოყენებული აბრევიატურა.....4

შესავალი.....

5

### თავი I

საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება.....8

1. საფრთხის არსი და თეორიები.....8
2. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები.....13
3. კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები.....20
4. აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები.....24
5. შუალედური დასკვნა.....28

### თავი II

განზრახვა საფრთხის დელიქტებში.....29

1. პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში.....29
2. არაპირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში .....35
3. განზრახვა მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებში.....41
4. ალტერნატიული განზრახვა საფრთხის დელიქტებში .....43
5. შუალედური დასკვნა .....46

### თავი III

გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში.....47

1. თვითიმედოვნება საფრთხის დელიქტებში.....47
2. დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში.....52
3. შუალედური დასკვნა.....54

**თავი IV**

**არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის საკითხი და კონკრეტული საფრთხის დელიქტები**  
.....55

1. ევენტუალური განზრახვით მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა ქართული და გერმანული დოგმატიკის მიხედვით.....55
2. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....62
3. შუალედური დასკვნა.....66

**დასკვნა.....68**

**ბიბლიოგრაფია.....73**

## გამოყენებული აბრევიატურა:

ა.შ. - ასე შემდეგ;

გვ. - გვერდი;

დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი;

ე.წ. - ეგრეთწოდებული;

თბ. - თბილისი;

იხ. - იხილეთ;

მუხ. - მუხლი;

რედ. - გამოცემის რედაქტორი;

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი;

სსრ. - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის;

მუხ. - მუხლი;

P. – Page;

S. Seite.

## შესავალი

როგორც ცნობილია, საფრთხის დელიქტებს, თავისი განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სისხლის სამართლის კოდექსში. მათი განსაკუთრებულობა კი, პირველ რიგში, გამომდინარეობს იმ როლიდან, რომლის შესასრულებლადაც გახდა საჭირო მათი დანერგვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კერძოდ, აქ ხაზგასასმელია, საფრთხის დელიქტების მიერ დასაცავი ობიექტების ღირებულება და სახელმწიფოს მიერ მათი უსაფრთხოდ არსებობის უპირობოდ უზრუნველყოფა. ეს ფუნდამენტური ღირებულებები გახლავთ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელთა ხელყოფისაგან წინარე ეტაპზე დასაცავადაც კანონმდებლის მიერ შემოღებულ იქნა ზოგადი დელიქტისაგან განსხვავებული შემადგენლობები - საფრთხის დელიქტების სახით.

სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ობიექტური მხარის აგებულება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. კერძოდ, კლასიკური დელიქტებისაგან განსხვავებით, მათი დისპოზიცია გამოიხატება ქმედების განხორციელებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს (კონკრეტული საფრთხის დელიქტები) ან ამ ქმედების ჩადენა იმთავითვე, ორგანულად დაკავშირებულია საფრთხის წარმოქმნასთან (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები). ანუ ქმედების განხორციელებასა და საფრთხის წარმოქმნას შორის არ არსებობს დროის ინტერვალი. ესე იგი ქმედება თავისი საშიში თვისებებიდან გამომდინარე, იმთავითვე საფრთხის წყაროდ გვევლინება. სწორედ აქედან გამომდინარე, საინტერესოა, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის ფორმების,<sup>1</sup> შეთავსების საკითხის განხილვა საფრთხის დელიქტებთან. გასარკვევია, რამდენად სრულადაა წარმოდგენილი ბრალის თითოეული ფორმა კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში, ხომ არ არსებობს გარკვეული პრობლემა განზრახვის ან გაუფრთხილებლობის რომელიმე სახის გამოყენებისას საფრთხის დელიქტებში? ეს საკითხი იმსახურებს ვინაობა, კონკრეტულად ამ კუთხით გამოკვლევას, ვინაიდან საფრთხის დელიქტების თავისებურების გარდა, ბრალის ფორმებსაც გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, რომლებიც დღემდე სხვადასხვანაირად არის გაგებული როგორც ქართულ, აგრეთვე, უცხოურ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაშიც.

<sup>1</sup> ბრალის ფორმის საკითხზე იხ. გ. ნაჭყებია, წიგნი: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2018, (მე-3 გამოცემა), გვ. 223-240.

სწორედ ამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ქართველმა მეცნიერმა მინდია უგრეხელიძემ ქართულ იურიდიულ სამეცნიერო სფეროში პირველმა ჩაატარა მნიშვნელოვანი კვლევა, რომელშიც დეტალურადაა განხილული ბრალის ფორმების მიმართება საფრთხის იმ დელიქტებთან, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1960 წლის სსრ სისხლის სამართლის კოდექსით. მას შემდეგ უახლესი კვლევა კი, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, უკვე დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებზე დაყრდნობით, ჩაატარა სამართლის დოქტორმა თემურ ცქიტიშვილმა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ნათლად გამოიკვეთოს და გაანალიზდეს ამ საკითხზე არსებული მოსაზრებანი, ის აზრთა სხვადასხვაობები, რომლებიც გამოთქმულია ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნაშრომში უმთავრესად გამოკვლეული იქნება პრობლემურ, სადავო საკითხთა წრე და დაფიქსირებული იქნება ავტორის მოკრძალებული პოზიცია თითოეულ მნიშვნელოვან ასპექტთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილი იქნება განსხვავებული მოსაზრებანი, რომლებიც გაანალიზებული და შეჯერებული იქნება ლოგიკური, სისტემური და შედარებით-სამართლებრივი განმარტებების დახმარებით. იმისათვის, რომ ნაშრომში სრულფასოვნად იქნეს გამოკვეთილი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხი საფრთხის დელიქტებში, აუცილებელია ჯეროვნად იქნეს აგებული ნაშრომის სტრუქტურა. შესაბამისად, მსურს, მკითხველს მოკლედ მივანოღო ინფორმაცია იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც თავების მიხედვით იქნება გამოკვლეული.

საკითხის სრულყოფილად გამოკვლევისათვის აუცილებელია, რომ მოკლედ განხილული იქნეს საფრთხის დელიქტები. შესაბამისად, პირველ თავში მოცემული იქნება საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება, განხილული იქნება საფრთხის არსი და მასზე არსებული თეორიები, საფრთხის დელიქტების თითოეული სახე და თავისებურებანი, გამოკვეთილი იქნება მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ხაზი გაესმება საფრთხის დელიქტების როლსა და დანიშნულებას სისხლის სამართლის კოდექსში. საბოლოოდ კი მოცემული იქნება შუალედური დასკვნა, რომელშიც წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ავტორი გააკეთებს შეჯამებას.

ნაშრომის მეორე თავში მოცემული იქნება უშუალოდ განზრახვის მიმართება საფრთხის დელიქტების ორივე სახესთან. ამ თავში გაანალიზებული იქნება განზრახვის სახეები, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. დადგენილი იქნება მათი საერთო და, უფრო მეტად, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების - განსაკუთრებით ვოლუნტატური (ნებელობითი) მომენტის განსაზღვრება პირდაპირი და არაპირდაპირ განზრახვაში. ამის შემდგომ კი უშუალოდ იქნება გამოკვლეული განზრახვის თითოეული სახის შეთავსების თავისებურების საკითხი კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში.

ნაშრომის მესამე თავში განხილული იქნება გაუფრთხილებლობით საფრთხის დელიქტების ჩადენის საკითხი. კერძოდ, განხილული იქნება გაუფრთხილებლობის სახეები და მათი დამახასიათებელი

ნიშან-თვისებები. ამის შემდგომ კი გაანალიზებული იქნება რამდენად შესაძლებელია, გაუფრთხილებლობის ორივე სახით - თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით საფრთხის ცალკეულ დელიქტთა განხორციელება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა სწორედ დაუდევრობით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა და, რა თქმა უნდა, ამ კუთხითაც განხილული იქნება განსხვავებული პოზიციები. საბოლოოდ კი მოცემული იქნება შუალედური დასკვნა, რომელშიც მოკლედ შეჯამდება ამ თავში განხილული საკითხები და დაფიქსირებული იქნება ავტორის ინდივიდუალური მოსაზრება.

აღნიშნული საკითხის განხილვისას, გვერდს ვერ ავეუვლიდით არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხს, ვინაიდან მათ გარკვეული საერთო მახასიათებლები გააჩნიათ. კერძოდ, მცდელობის დროსაც კონკრეტული საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს. ამდენად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს მათი გამიჯვნის მკაფიო კრიტერიუმები, რამეთუ შეცდომით არ მოხდეს იმ ქმედების არაპირდაპირი განზრახვით მცდელობად დაკვალიფიცირება, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის დელიქტს. აღნიშნულ საკითხს გააჩნია არა მხოლოდ თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ბოლო თავი დაგვეთმო ამ საკითხისადმი, რომელშიც მოყვანილი იქნება ქართულ და გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები. ლოგიკურად იქნება გაანალიზებული მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ეს საკითხი განხილული იქნება, აგრეთვე, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, გამოკვეთილი იქნება ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენენ საკითხის სწორად გადაწყვეტის ქვაკუთხედს. ამასთანავე, საკითხის სრულყოფილად გაანალიზებისათვის განხილული იქნება ბოლო დროინდელი სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, გადაწყვეტილებები. ბოლოს კი, შეჯამების სახით, მოცემული იქნება ავტორის მოკრძალებული, ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პოზიცია.

საბოლოოდ, მოცემული იქნება ძირითადი დასკვნა, რომელშიც ავტორი მოკლედ შეაჯამებს ნაშრომის ფარგლებში საკითხის გამოკვლევისას მიღებულ შედეგებს, დააფიქსირებს თავის პოზიციას თემის ირგვლივ დასმულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ მოცემული ნაშრომის ფარგლებში, მეტ-ნაკლებად, სრულყოფილად დამუშავდება აღნიშნული საკითხი, ლოგიკური და დასაბუთებული პასუხები გაეცემა კვლევისას წამოჭრილ ყველა საკამათო, აქტუალურ საკითხს.

## პირველი თავი

### საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება

#### 1. საფრთხის არსი და თეორიები

იმის მიხედვით, თუ დანაშაულის ობიექტი ხელყოფილია ან მისი მთლიანობა საფრთხის ქვეშ დგას, განასხვავებენ დაზიანებისა და საფრთხის დელიქტებს. დაზიანების დელიქტების შემთხვევაში, რომლებიც დანაშაულის უმრავლესობას წარმოადგენს, დანაშაულის ობიექტი გაუფასურებული უნდა იყოს რეალურ პირობებში. საფრთხის დელიქტების შემთხვევაში, ამის საპირისპიროდ, ქმედება წარმოადგენს, მეტ-ნაკლებად, ინტენსიურ საფრთხეს დანაშაულის ობიექტისადმი.<sup>2</sup> საფრთხის შემცველი დელიქტების რაოდენობა მზარდად იზრდება სისხლის სამართლის კოდექსში, ვინაიდან ასეთ შემადგენლობათა სხვადასხვა სახით ჩამოყალიბება დიდ წილად დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესთან. კერძოდ, საფრთხის შემქმნელი დელიქტების უმრავლესობის მიზანია, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, დასაჯოს ყოველგვარი წინარე ქმედება, რომელიც, თავისი არსით, იმთავითვე საფრთხის შემქმნელია ადამიანისათვის ან რომელმაც შესაძლოა ადამიანის სიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხე შექმნას. ტექნიკის განვითარებასთან ერთად იმატებს საფრთხის წყარო, რომელიც ამა თუ იმ საწარმოო ელემენტთან, მის მოხმარებასთანაა დაკავშირებული. სწორედ ეს ფაქტორი უბიძგებს კანონმდებელს, რომ ფეხდაფეხ მიჰყვეს პროგრესს და შემოიღოს ახალ-ახალი შემადგენლობები, რომელთა მეშვეობითაც განეიტრალდება მომეტებული საფრთხის წყაროდან მომავალი რისკები და მაქსიმალურად ეფექტურად იქნება დაცული ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მათთან. სანამ უშუალოდ მიმოვიხილავდეთ საფრთხის შემქმნელი დელიქტების ბუნებას, მიზანშეწონილია, განვიხილოთ საფრთხის არსი და მასთან დაკავშირებული თეორიები. „საფრთხე,

<sup>2</sup> Claus Roxin, Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen Der Aufbau Der Verbrechenslehre, 4. Auflage, Munchen 2006, S 337-338.



სისხლის სამართლის მნიშვნელობით, არის მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა.<sup>3</sup> „მაშასადამე, საფრთხის ცნება შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება და ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, რომელიც განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ კონკრეტულ ვითარებაში ზიანის წარმოშობის შესაძლებლობას შეიცავს.“<sup>4</sup> ე.ი. საფრთხე ისეთი ზოგადი მოცემულობის ამსახველი ტერმინია, რომელიც მოიცავს საშიშ, ზიანის შემცველ მოქმედებათა გარკვეულ ლოგიკურ ერთობლიობას, რომელთა დაწყებაც იმთავითვე საზიანო შედეგის დადგომის ალბათობას ზრდის. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხის შექმნა, ფაქტობრივად თავისი არსით, უტოლდება ზიანის შემცველ ქმედებას.

„საფრთხის ნამდვილი არსი შეიძლება გავგებულ იქნეს მხოლოდ შესაძლებლობის ცნების შინაარსის გამორკვევის საფუძველზე. შესაძლებლობა სინამდვილის განვითარების პროცესს წარმოადგენს, შესაბამისად, იგი აუცილებლად გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როცა განსაზღვრული მოვლენა ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ კიდევ არ გადაქცეულა სინამდვილედ, მაგრამ მეორეს მხრივ, შესაძლებლობა სინამდვილის გარკვეულ მხარეს წარმოადგენს, რამდენადაც შესაძლებელია მხოლოდ ის, რასაც სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია აქვს. ამ მხრივ რეალური შესაძლებლობა უნდა განვასხვაოთ ფორმალური ანუ ლოგიკური შესაძლებლობის ცნებისაგან. ფორმალურად შესაძლებელია ყველაფერი, რაც შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს, როგორც მაგალითად ხის რკინა. ფორმალური შესაძლებლობის თვალსაზრისით, უაღრესად აბსურდული და უაზრო რამეც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შესაძლებლობა. მაგალითად, შეიძლება ოსმალეთის სულთანი პაპი გახდეს, ვინაიდან იგი ადამიანია, მან შეიძლება მიიღოს ქრისტეს რჯული, გახდეს კათოლიკე მღვდლად და ა.შ. რეალური შესაძლებლობა წარმოადგენს სინამდვილის მხარეს, რამდენადაც უკვე არსებულ სინამდვილეში მოიპოვება ქმედითი პირობები, რომელთაც აქვთ ტენდენცია სინამდვილედ გადაქცევისა, უნარი წარმოშვან განსაზღვრული შედეგი“.<sup>5</sup>

„თუ რეალური შესაძლებლობის ცნებას საფრთხის ცნების განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ, უნდა ვთქვათ, რომ საფრთხე, ე.ი. საზიანო შედეგის დადგომის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა კონკრეტულ სინამდვილეში არსებობენ ქმედითი პირობები, რომელთა განვითარებას ზიანი შეიძლება მოჰყვეს. როცა კლდის ჩამოქცევის დაწყებას ვხედავთ, ვამბობთ, რომ არსებობს იმ სახლის დანგრევის რეალური შესაძლებლობა, რომელიც ჩამოქცევის ადგილზე დგას. ამ შესაძლებლობის საფუძველი უკვე კლდის ჩამოქცევის დაწყება გახლდათ, რომელიც

<sup>3</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007, გვ. 406

<sup>4</sup> თინათინ წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2006, გვ. 175

<sup>5</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007, გვ. 414-415

ფაქტიურად არსებობდა და მის სინამდვილედ გადაქცევას მხოლოდ ადამიანის შეგნებულმა მოქმედებამ შეუძალა ხელი“.<sup>6</sup> რეალურად შესაძლებელი მხოლოდ ის არის, რაც ობიექტური პირობებით არის განსაზღვრული. შესაძლებლობა, როგორც სინამდვილის მხარე, „შესაძლებლობაა ახალი, მომავალი სინამდვილისათვის, იმ სინამდვილის, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ არ არსებობს“.<sup>7</sup> მაგრამ თუ შესაძლებლობას თავისი საფუძველი სინამდვილეში აქვს „ისიც არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ყოველგვარი საფუძველი წინააღმდეგობრივია, ე.ი. იგი შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდეს და არ დადგეს შედეგი“.<sup>8</sup>

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად რელევანტურია სწორედ რეალური შესაძლებლობა, როგორც საფრთხედ გადაქცევის უნარის მქონე მოცემულობა, და არა ფორმალური (ლოგიკური) შესაძლებლობა, რომელიც არსებობს ჰიპოთეტურად და, უმეტეს შემთხვევაში, არანაირი რეალური კავშირი არ აქვს ბუნებაში ობიექტურად მიმდინარე კანონზომიერ პროცესებთან. „ეს უკანასკნელი კი - თავის მხრივ, არსებობს აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული რეალური შესაძლებლობის დროს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობები, რომელიც მას სინამდვილედ აქცევს და პირიქით, - კონკრეტული შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით, შეიძლება სინამდვილედ იქცეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცხადია, საფრთხე უფრო ქმედითია“.<sup>9</sup> გერმანიის

მართლმსაჯულებამ განსაზღვრა, რომ საფრთხის შექმნას მაშინ აქვს ადგილი, როცა „ზიანის დადგომა უფრო მეტადაა სავარაუდო, ვიდრე მისი არდადგომა“.<sup>10</sup> როდის არის ზიანის დადგომა მეტად სავარაუდო, ამას განსაზღვრავს ობიექტური შემთვასებელი, რომელიც ყოველ კონკრეტულ გარემოებაზე დაყრდნობით აფასებს შექმნილ ვითარებას. აქ იგულისხმება სწორედ საშუალო, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანი. ყურადღებას იპყრობს საფრთხის თეორიები, რომელთა შორისაც ძირითადად გამოყოფენ სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს. საფრთხის სუბიექტური თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საფრთხე არსებობს მაშინაც როდესაც იგი რეალურად, ობიექტურად არაა სახეზე, თუმცა ადამიანის წარმოსახვაში გარკვეული ქმედება საზიანო შედეგის დადგომის წინაპირობად აღიქმება. მართებულად მიუთითებს მეცნიერი თინათინ წერეთელი რომ „საფრთხე, რომელიც ასე წმინდა სუბიექტურადაა გაგებული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის არ შეიძლება გამოვიყენოთ.

<sup>6</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მეოთხე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2010, გვ. 207-208

<sup>7</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, თბ. 2007, გვ. 414-415

<sup>8</sup> ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ყურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007, N 2/3, გვ. 154

<sup>9</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 180

<sup>10</sup> თემურ ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015, გვ. 94.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დავაფუძნოთ ისეთ ცნებაზე, რომელიც ყოველგვარ რეალურ შინაარსსაა მოკლებული. საფრთხე სუბიექტური აზრით ეფუძნება ფორმალური შესაძლებლობის ცნებას, რომლის ნამდვილი არსი ჯერ კიდევ ჰეგელმა დაადგინა“.<sup>11</sup>

„სინამდვილეში საფრთხის ცნების სუბიექტურმა განსაზღვრებამ ჩვენ იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ მოქმედების, როგორც საშიშის, შეფასება დამოკიდებული იქნება იმაზე, შენიშნა თუ არა მოქმედება, ანუ იმან, ვის წინააღმდეგაც იყო ის მიმართული, ან შენიშნეს ის სხვებმა. თუ მოქმედება ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასახელებულმა პირებმა უკვე გააცნობიერეს, რომ მან საზიანო შედეგი არ გამოიწვია, ის უვნებელ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ; და პირიქით, არსებითად, ე.ი. ობიექტურად ყველაზე უსაფრთხო მოქმედება შეიძლება საშიშად მივიჩნიოთ, თუკი მან შიშის გრძობა გამოიწვია. ერთი და იგივე მოქმედება წარმოგვიდგება უსაფრთხოდ, თუკი იგი მიმართულია მამაცი, გონიერი და მშვიდი ადამიანის წინააღმდეგ და, პირიქით, საშიშად, თუკი ის ლაჩრის ან ლენჩის წინააღმდეგ იქნება მიმართული. თუ მავნე შედეგი არ განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების შესრულების მომენტშივე გადაწყდა მისი განხორციელების შეუძლებლობა. მაშასადამე, მავნე მოქმედების შესაძლებლობაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება. ამ თვალსაზრისით, მსჯელობა საფრთხეზე დაფუძნებულია მხოლოდ ადამიანის ცოდნის შეხედულებაზე, იგი წარმოადგენს შეცდომის, უცოდინრობის ან განსაკუთრებული ემოციური მდგომარეობის ნაყოფს. ასე სუბიექტურად გაგებული საფრთხე, რომელიც რეალურად არ არსებობს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საფრთხის შემქმნელი დელიქტების გამო პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის, რამდენადაც, ერთი და იმავე ქმედება საშიშად ან კიდევ არასაშიშად დაზარალებულის წარმოდგენის მიხედვით უნდა შეგვეფასებინა, რაც არ იქნებოდა საკითხის სწორად გადაწყვეტა.

პროფესორი თინათინ წერეთელი აქვე აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი ქმედების, როგორც საზოგადოებრივად საშიშის, დაფუძნება ასეთ მერყევ საფუძველზე, დამოკიდებული იქნება არა დანაშაულებრივი ქმედების თვისებაზე, არამედ იმის სუბიექტურ თვისებებსა და ფსიქიკურ განცდებზე, ვისაც ამ ქმედებით საფრთხე შეექმნა. ანდა იგი დამოკიდებული იქნება იმათ განწყობაზე, ვინც თვალყურს ადევნებდა ან აფასებდა ჩადენილ ქმედებას. ბოლოს, თუკი საფრთხე რეალურ სინამდვილეში არ არსებობს, თუკი იგი მხოლოდ ადამიანური აღქმის პროდუქტი, მისი შეცდომის ან ილუზიის ნაყოფია, მაშინ, როგორც კი ეს შეცდომა გამოაშკარავდა და „ამრიგად, გაირკვა, რომ სინამდვილეში

<sup>11</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 177

არავითარი საფრთხე არ ყოფილა, მოქმედების დასჯადობის ყოველგვარი კონკრეტული საფუძველიც ქრება“.<sup>12</sup>

„საფრთხე ბაღებს შიშს, მაგრამ მისი შიშთან გაიგივება არ შეიძლება. შესაძლებელია, რომ ყალბმა შიშმა ზოგჯერ გვაიძულოს ჩვენ უსაფრთხო მდგომარეობა საშიშად მივიჩნიოთ, მაგრამ შიშს ნამდვილად არ შეუძლია უსაფრთხო მდგომარეობა საშიშად აქციოს. საფრთხის ცნება ჩვენი შეცდომის, უმეცრების ნაყოფი როდია. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე გვიმტკიცებს ამ დებულების სისწორეს, ის ყოველდღიურად გვინვეს გამწვავებულ ბრძოლაში... და ნუთუ ეს უდიდესი ბრძოლა მოჩვენებაა“.<sup>13</sup>

სუბიექტური თეორიის გაზიარება დიდ პრობლემებს შექმნის როგორც საგამოძიებო პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე სამართალშეფარდების პროცესშიც, ვინაიდან თუ საფრთხის შემქმნელი ქმედების არსებობა და, შესაბამისად, შემდგომში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ დაზარალებულის შეხედულებიდან გამომდინარე მიცემულ ჩვენებაზე იქნება დამოკიდებული, შესაძლებელია, მასზე არამართლზომიერი ზემოქმედების მოხდენის გზით, პრობლემები შეიქმნას საგამოძიებო ორგანოში ქმედების ჩადენის ფაქტის დასასაბუთებლად მტკიცებულებების შეგროვების შექმნის პროცესში და შემდგომ კი უკვე სასამართლოში საქმის განხილვის დროს. საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის დამტკიცებისათვის ყველაზე მყარი მტკიცებულება იქნება დაზარალებულის ჩვენება და მასზე იქნება დამოკიდებული საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესს. ამასთანავე, საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული მთელი რიგი მოქმედებანი ფაქტობრივად უსარგებლო გახდება, რაც გამოიწვევს სახელმწიფოს რესურსებისა და დროის უმიზნოდ ხარჯვას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში გაუქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებითად ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენების მიცემისათვის, შესაბამისად, უფრო გაადვილდა დაზარალებულის მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაციის, სასამართლოში, საქმის არსებითი განხილვის დროს ჩვენების მიცემის დროს, მისი შეცვლის ტენდენცია. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საფრთხის სუბიექტური თეორია მიუღებელია და ირელევანტურია არა მხოლოდ თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც, კერძოდ, საფრთხის დელიქტის ჩამდენი პირის ბრალეულობის დასასაბუთებლად.

**რაც შეეხება საფრთხის ობიექტურ თეორიას,** მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საფრთხის შემცველი ქმედების დადგენა - არდადგენის საკითხის გადაწყვეტის დროს, სუბიექტური თეორიისაგან განსხვავებით, აქცენტი გადატანილია არა პირის სუბიექტურ შეხედულებებზე, არამედ ობიექტურად არსებულ რეალობაზე, კერძოდ, იმაზე განხორციელებული ქმედება რამდენად არის საშიში

<sup>12</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი სამიზრობა და მართლწინაღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006; გვ. 178-179

<sup>13</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მეოთხე, თბ. 2010, გვ. 201

თვისებების მქონე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქმედებას რამდენად გააჩნია საფრთხის რეალიზების ტენდენცია, რა დროსაც მხედველობაში მიიღება განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივად საშიში თვისებები.

სუბიექტური თეორიისაგან განსხვავებით, საფრთხის ობიექტური თეორია მისაღებია, რადგან ქმედება რომ საფრთხის შემცველად ჩაითვალოს, იგი პირველ რიგში, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველ ნიშნებს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, განხორციელებული ქმედების საფრთხის შემქმნელ დელიქტად მიჩნევის საკითხი.

„აღნიშნული თეორიით საფრთხე განისაზღვრა როგორც ზიანის ალბათობა, რომელიც არ არის სუბიექტის წარმოსახვის ნაყოფი, არამედ ეყრდნობა ობიექტურად, რეალურად არსებულ მონაცემებს“.<sup>14</sup>

საბოლოო ჯამში, საფრთხის შემცველი ქმედების დადგენისას, სასამართლოს მიერ კომბინაციურად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმები. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხის შესაფასებლად გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ იმ პირის შეხედულებები, ვინც თავს საფრთხეში მყოფად თვლის, არამედ ჩვეულებრივი ფსიქიკის მქონე, ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისიდან დანახული და მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ თვითონ ანალოგიურ სიტუაციაში რამდენად იგრძნობდა თავს საფრთხის ზონაში მოქცეულად. ობიექტური კრიტერიუმი კი გამოიხატება იმაში, რომ თავად განხორციელებული ქმედება უნდა ქმნიდეს, საზოგადოდ, საშიში თვისებების შემცველ ნიშნებს.

## 2. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები

„საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის ძირითადი მიზანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაა, რომლებიც სისხლის სამართლის კანონით დაცულ ყველაზე მნიშვნელოვან სიკეთეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, კანონმდებელი ამ სიკეთეთა დაცვას მათთვის საფრთხის შემქმნელი ქმედების დასჯადობით იწყებს“<sup>15</sup>. „სისხლის სამართლის კანონში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობათა საერთო მასიდან საფრთხის დელიქტები, უწინარეს ყოვლისა, თავიანთი ობიექტური მხარის თავისებურებით გამოირჩევიან. ეს თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: შემადგენლობათა უმრავლესობა ჩვეულებრივ მოიცავს ობიექტური მხარის სამივე ძირითად რგოლს. ესენია - საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, შესაბამისი მანერე

<sup>14</sup> თ. ცქიტიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 100

<sup>15</sup> გოჩა მამულაშვილი წიგნი: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-6 გამოცემა; თბ. 2016, გვ. 170

შედეგი და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი. საფრთხის დელიქტებში კი საზოგადოებრივად საშიში შედეგი არც პირდაპირ არის აღწერილი და არც იგულისხმება<sup>16</sup>.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დადგა შედეგი კვალიფიკაცია იცვლება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ სსკ-ის 127-ე მუხლი, რომლითაც სისხლისსამართლებრივად დასჯადა გამოცხადებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად. განსახილველ შემთხვევაში, დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა აქვს საფრთხის მიმართ, ხოლო მოსალოდნელი შედეგის მიმართ კი მას შესაძლოა გააჩნდეს ევენტუალური განზრახვა ან თვითიმედოვნება. სსკ-ის 127-ე მუხლით ქმედება მაშინ კვალიფიცირდება, როდესაც პირის სიცოცხლეს რეალურად შეექმნება მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული საფრთხე მართლსაწინააღმდეგო შედეგში გადაიზრდება, (მაგალითად დადგება სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) განსახილველ შემთხვევაში იცვლება კვალიფიკაცია შედეგისა და მისდამი დამნაშავეს დამოკიდებულების მიხედვით. მაგალითად, თუ განხორციელებულმა საფრთხის შემცველმა ქმედებამ ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია ქმედება შეფასდება როგორც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი) ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 116-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ისეთი დელიქტებიც, რომლებშიც შედეგი პირდაპირ არაა აღწერილი, თუმცა იგულისხმება. კერძოდ, ასეთი დელიქტია ყაჩაღობა, რომლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, შედეგი - დაუფლება პირდაპირ არ წერია, თუმცა იგულისხმება რომ დამნაშავე თავისი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გზით მიისწრაფვის სხვისი ქონების დაუფლებისაკენ. **ამასთან ნივთის დაუფლების შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია არ იცვლება - სახეზეა ყაჩაღობა.** შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან და ქურდობისა და ძარცვისაგან განსხვავებით მისი დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ არის შედეგის დადგომა - ნივთის ფაქტობრივად დაუფლება.

საფრთხის დელიქტები ობიექტური მხარის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები და 2) კონკრეტული საფრთხის დელიქტები. **აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების** ობიექტური მხარის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დისპოზიციაში აღწერილია თავად ქმედება, რომელიც თავისი თვისებებიდან გამომდინარე, იმთავითვე დაკავშირებულია სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შესაძლო შექმნასთან. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ დისპოზიციაში აღწერილი საზოგადოებრივად საშიში თვისებების მქონე ქმედების ჩადენის ან არჩადენის ფაქტი.

<sup>16</sup> მინდია უგრეხელიძე, ბრაალი საფრთხის დელიქტებში. თბ, 1982, გვ. 3

ამისათვის კი აუცილებელია, რომ სასამართლომ სიღრმისეულად შეისწავლოს პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებანი და ამის მიხედვით იმსჯელოს, მათში იკვეთება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი ქმედების ნიშნები. ე.ი. რამდენად ზუსტად შეესაბამება ჩადენილი ქმედება კანონში მოცემულ შესაბამის დელიქტში აღწერილ ქმედების ნიშნებს.

„ამგვარად, აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში სისხლის სამართლის კანონი აღწერს მხოლოდ თვითონ ქმედებას, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია და არ მოითხოვს, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაამტკიცოს განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნის არსებობა“.<sup>17</sup> „აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების არსებობის ფაქტს განსაზღვრავს კანონი, განსხვავებით კონკრეტული საფრთხის დელიქტისაგან, რომლის არსებობა-არასებობას ადგენს თავად მოსამართლე.“<sup>18</sup> „აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს საკუთრივ ქმედებას, რომელიც ხასიათდება საშიში თვისებებით. დანაშაულის შემადგენლობა მთავრდება საკანონმდებლო შემადგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებით და არ მოითხოვს შემდგომი შედეგის დადგომას ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის სახით“.<sup>19</sup>

აბსტრაქტული საფრთხე, თავისი არსით, გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც სამართლით დაცულ სიკეთეს ემუქრება შორეული საფრთხე, ამ შემთხვევაში ზიანის დადგომის ალბათობა ნაკლებია და იგი უტოლდება დანაშაულის მომზადების სტადიას, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ჯერ არ იწყება სამართლებრივი სიკეთისათვის უშუალოდ ზიანის მიყენების პროცესი, არამედ მხოლოდ ნიადაგი მზადდება დანაშაულის ჩასადენად. აქედან გამომდინარე, ხაზი ესმება აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტით დაცული ობიექტის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, რადგან მის დაცვას კანონმდებელი მისთვის შორეული საფრთხის შექმნის მომენტიდან იწყებს. „აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულებში საფრთხე პრეზუმირებულია (ნაგულისხმევია) თვით კანონმდებლის მიერ. ასეთი შემადგენლობის შექმნის დროს, კანონმდებელი აღიარებს, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, შეუძლია ზიანი მიაყენოს სამართლით დაცულ განსაზღვრულ სიკეთეს“<sup>20</sup>. ეს ტიპური საფრთხე არის მხოლოდ საკანონმდებლო

<sup>17</sup> გ. მამულაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 171

<sup>18</sup> Horst Schröder, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte, Juristen Zeitung 2, S 522 ( ხელმისაწვდომია: [www. Jstorg. Org](http://www.jstorg.org); ბოლოს ნახვის თარიღი: 15.06.2019)

<sup>19</sup> თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015. გვ. 30

<sup>20</sup> თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. 2015; გვ. 31-32

მოტივი პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასასჯელად.<sup>21</sup> „იმ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის მართლწინააღმდეგობა, რომელიც ფორმალური ხასიათისაა, თვითონ მოქმედებასთან არის დაკავშირებული. ჩვეულებრივ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი კანონში აღწერილია, როგორც მოქმედება, რომელიც ქცევის განსაზღვრულ წესს არღვევს“.<sup>22</sup> „აღნიშნული სპეციალური წესებით დადგენილია უსაფრთხოების ის სტანდარტები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს საყოფაცხოვრებო საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. მათ მიეკუთვნება: მომეტებული საფრთხის ობიექტები და მათი ექსპლუატაციის წესები, სხვადასხვა საწარმოო დანადგარები და მათ მუშაობასთან დაკავშირებული ქცევის ინსტრუქციები და ყველა ის სფერო, რომელიც თავისი შინაარსით, მეტ-ნაკლებად, იმგვარი ხარისხის საფრთხის წყაროს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რომელიც დაცვის ღირსია. უმეტესწილად, ასეთი ნორმები ბლანკეტური ხასიათისაა და სისხლის სამართლის კოდექსი, ზოგადად, ამ წესების დარღვევაზე აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იგი სისხლის სამართლის კანონში პირდაპირ არ არის აღწერილი და ეს ლოგიკურია, რადგან მათი დისპოზიციამში სრული მოცულობით აღწერა არაა ამართებული, მათი სპეციფიკური ხასიათიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდეგობა სახელდობრ მითითებული ნორმების დარღვევას ეფუძნება. თუ ადამიანმა დაარღვია სიფრთხილის ნორმა, რომელიც დადგენილი იყო იმ საფრთხის აღსაკვეთად, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსს ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ამით უკვე დადგენილია მოქმედების მართლწინააღმდეგობა და საფრთხის ხარისხს შემდგომი დაზუსტება აღარ სჭირდება“.<sup>23</sup> „საფრთხის შექმნის ზოგიერთ შემადგენლობაში საფრთხე თვითონ კანონმდებელს აქვს ნავარაუდები და ამიტომ სასამართლო არ არის ვალდებული ამტკიცოს ის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. სასამართლოს არ სჭირდება ქმედების ჩადენის ადგილისა და დროის პირობებში საფრთხის არც დადგენა და არც უარყოფა. სასამართლოსათვის ასეთი უფლების მიცემა არსებითად კანონის რევიზია და კანონმდებლის ნების საწინააღმდეგო იქნებოდა. სასამართლოს არ შეუძლია დასაჯოს მოქმედება, რომლის საშიშროება თვითონ კანონმდებელს არ დაუდგენია“.<sup>24</sup>

„აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები გამოიყენება ისეთი ქმედების ჩადენაში, რომელსაც საზოგადოდ, იდეაში შეუძლია შეუქმნას საფრთხე რომელიმე სამართლებრივ სიკეთეს, მაგრამ რომელს და როდის, ამის დაკონკრეტება არაა

<sup>21</sup> Volker Krey, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen, Tatbestandsmaigkeit, Rechtswidrigkeit, Schuld, 3. Auflage, 2008, S 69

<sup>22</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006 გვ 197

<sup>23</sup> თ. წერეთელი, იქვე, გვ. 197-198

<sup>24</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 170



აუცილებელი. აბსტრაქტული საფრთხისათვის დამახასიათებელია განუსაზღვრელობა.“<sup>25</sup>

მამასაღამე, აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში აღწერილია თვისობრივად ზიანის შემცველი ქმედება, რომლის ჩადენისთანავე იქმნება აბსტრაქტული საშიშროება სამართლით დაცული სიკეთისათვის. მეტი თვალსაჩინოებისათვის უმჯობესი იქნება განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი. სსკ-ის 232-ე მუხლით დასჯადაა გამოცხადებული ბირთვული იარაღის ან სხვა ასაფეთქებელი მონყობილობის დამზადება. მოცემული შემადგენლობა მიეკუთვნება აბსტრაქტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტს, ვინაიდან დისპოზიციაში აღწერილია ქმედება და მოცემული დანაშაული დამთავრებულია ზემოაღნიშნული ნივთიერებების დამზადების მომენტიდან და სხვა რაიმე შედეგი შემადგენლობის გარეშაა. კანონმდებელი ქმედების დასჯადობას იწყებს ასეთი იარაღის შექმნის მომენტიდან და აღარ ელოდება მის გამოყენებას, ბირთვული იარაღის ან სხვა ასაფეთქებელი მონყობილობის საშიში თვისებებიდან გამომდინარე. კერძოდ, „ბირთვულია ისეთი იარაღი, რომელიც შეიცავს ბირთვულ ნივთიერებას, რაც ბირთვული გამოსხივების წყაროა. ბირთვული ასაფეთქებელი მონყობილობა კი არის ისეთი ტექნიკური ხელსაწყო, მართვადი აპარატი, დანადგარი თუ მანქანა-მექანიზმი, რითაც ხდება ბირთვული მასალის აფეთქება.“<sup>26</sup>

ზემოაღნიშნული მონყობილობების დამზადება, ე.ი. მისთვის მზა პროდუქტის სახის მიცემა და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა იმთავითვე საშიშროებას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, ვინაიდან არსებობს პოტენციური საშიშროება მისი ნებისმიერ დროს ამოქმედებისა, რაც მეტად საშიანო შედეგებთანაა დაკავშირებული. სწორედ ბირთვული იარაღის ბუნება, კერძოდ, მოქმედებაში მოყვანის შემთხვევაში მისი უმართაობა, მისი დამანგრეველი ძალის სიძლიერე და ფართომასშტაბიანობა, კანონმდებელს უბიძგებს დასჯადად გამოაცხადოს აღნიშნული იარაღის მზა პროდუქტის სახით შექმნა, ვინაიდან ამგვარი იარაღის არსებობა იმთავითვე პოტენციურ საფრთხეს უქადის სახელმწიფოს უშიშროებასა და საზოგადოების კეთილდღეობას.

„აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობას რომ ქმნის, კანონმდებელი ვარაუდობს მოქმედების საშიშროებას, ესე იგი აღიარებს, რომ მას საზოგადოდ, თავისი გვარეობითი წარმომავლობით, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, სამართლით დაცული კონკრეტული ინტერესის დაზიანება შეუძლია.“<sup>27</sup>

სსკ-ის 224-ე მუხლით დასჯადაა გამოცხადებული ბანდიტიზმი, ე.ი. მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით. მოცემულ შემთხვევაშიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის ამგვარი ბანდის შექმნა და კანონმდებელი აღარ ელოდება მის მიერ

<sup>25</sup> ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007, N 2/3, გვ. 153

<sup>26</sup> ნ. თოდუა წიგნში: „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი პირველი მე-6 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 651

<sup>27</sup> თ. წერეთლი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 165

რაიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას თავად აღნიშნული ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე. კერძოდ, „მიჩნეულია, რომ მყარი შეიარაღებული ჯგუფის არსებობა, რომლის მიზანიც თავდასხმის განხორციელებაა, იმთავითვე ძირს უთხრის საზოგადოების უშიშროებას და სწორედ ამით არის განპირობებული ბანდიტიზმის ესოდენ შეკვეცილი შემადგენლობა“.<sup>28</sup>

სსკ-ის 229-ე მუხლში მოცემულია აფეთქების შემადგენლობა, რომლის დისპოზიციაც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ასაფეთქებელი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა მოწყობილობის ან ნივთიერების გადატანა, განთავსება, გასროლა, აფეთქება ან სხვა მოქმედება, ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, სხეულის მძიმე დაზიანების, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით“. მოცემულ დელიქტთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობაა გამოთქმული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტს. ლიტერატურაში გამოთქმული მეორე მოსაზრების თანახმად კი „აფეთქება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. როგორც დისპოზიციიდან ჩანს, ქმედების 229-ე მუხლის პირველი ნაწილით დასაკვალიფიცირებლად არ არის საჭირო, რომ ვინმეს ზიანი მიადგეს ან კონკრეტული საფრთხე შეექმნას. სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის დაზიანების მიზნით ასაფეთქებელი მოწყობილობის გადატანა ან განთავსება ჯერ კიდევ არ გულისხმობს კონკრეტული საფრთხის არსებობას.“<sup>29</sup>

აღნიშნული მოსაზრება მართებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მოცემული დელიქტის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ დასჯადად აცხადებს ასაფეთქებელი მოწყობილობის გადატანას, განთავსებას და რაიმე საზიანო შედეგს ან საფრთხის შექმნას არ ითვალისწინებს, ეს უკანასკნელნი შემადგენლობის გარეთაა. რაც შეეხება, დისპოზიციის ალტერნატიულ ქმედებას, კერძოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობის გასროლას და აფეთქებას, რომლებიც აგრეთვე პირველ ნაწილშია მოცემული, აღნიშნული დელიქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, ამ ქმედებების განხორციელება ითვლება აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად, რაც არაა მართებული. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქება ყოველთვის არ ქმნის კონკრეტულ საფრთხეს და არც კანონმდებელი მოითხოვს ამას“<sup>30</sup>. განსახილველ შემთხვევაში, მოცემული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ამგვარი იარაღის აფეთქება ყოველთვის არ ქმნის კონკრეტულ საფრთხეს არაა გასაზიარებელი, რადგან აფეთქების საკანონმდებლო შემადგენლობა წარმოადგენს **გამიზნით დელიქტს**, მისი ჩადენა ხდება არა უბრალოდ, არამედ კონკრეტული, ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

<sup>28</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 700

<sup>29</sup> თ. ცქტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32

<sup>30</sup> თ. ცქტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32

რის გამოც, პირი საშიში თვისებების მქონე, ასაფეთქებელ მონყობილობას აფეთქებს იმ მიზნით, რომ ხელყოს კონსტიტუციითა და ბუნებითი სამართლით გათვალისწინებული ადამიანის ყველაზე ღირებული სამართლებრივი სიკეთეები: სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან საკუთრება. შესაბამისად, პირს მოცემული იარაღი მოქმედებაში მოჰყავს ისეთ ვითარებაში, გარემო-პირობებში, რომელსაც ალბათობის მაღალი ხარისხით შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ან მისი ჯანმრთელობის დაზიანება. ე.ი. ზიანის დადგომის ალბათობის საფრთხე სცილდება და მეტად აღემატება სამართლით დაცული ინტერესისათვის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტით გამოწვეული საშიშროების შექმნის ხარისხს.

**მაგალითი:** პირმა ასაფეთქებელი მონყობილობა გაისროლა ქალაქის ცენტრალური უბნისაკენ, თუმცა იმ მომენტში ქუჩაში არავინ იმყოფებოდა. განსახილველ შემთხვევაში, გამოყენებული საშიში თვისებების შემცველი იარაღიდან და ქმედების ჩადენის მამოძრავებელი სპეციალური მიზნიდან გამომდინარე, შეუძლებელია დავასკვნათ, რომ შეიქმნა მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხე, რადგან ეს უკანასკნელი თავისი არსით გულისხმობს საშიშროების მიყენების შორეულ სტადიას, მაშინ როდესაც ზემოთ მოცემულ მაგალითში საზიანო შედეგი არ დადგა ან მისი შექმნის საშიშროება არ შეიქმნა არა იმიტომ, რომ ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ასეთი ქმედების ჩადენა საშიშროების შექმნის შედარებით დაბალ ალბათობას შეიცავს ანუ რაიმე ზიანის აბსტრაქტულ შესაძლებლობას ქმნის (რაც დამახასიათებელია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისათვის), არამედ მხოლოდ შემთხვევითობის გამო, რადგან იმ მომენტში იქ არავინ იმყოფებოდა. შემთხვევითობა კი დამახასიათებელია კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისათვის. კერძოდ, „კონკრეტული საფრთხე მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა შედეგის დადგომა მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შემთხვევითობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს“<sup>31</sup>. კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემთხვევაში, პირი ვარაუდობს დანაშაულის ფაქტების შესრულებას, კერძოდ იმას, რომ დანაშაულის ობიექტს კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად ემუქრებოდა საფრთხე. წარმატების წარუმატებლობა კი მხოლოდ შემთხვევითობაა.<sup>32</sup> კონკრეტული საფრთხის შემცველ დელიქტებში შეიძლება შეგვხვდეს წარმატებული შემთხვევაც. კონკრეტული საფრთხე არის ფაქტობრივი წარმატება.<sup>33</sup>

აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედებების ჩადენა მიეკუთვნება სულ მცირე აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტთა კატეგორიას. მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნეს ქმედებები: გასროლა და აფეთქება. აღნიშნულ მუხლს უნდა დაემატოს ნაწილი, რომელიც

<sup>31</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102

<sup>32</sup> Claus Roxin, Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen Der Aufbau Der Verbrechenslehre, 4. Auflage, Munchen 2006, S. 338

<sup>33</sup> Volker Krey, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen, Tatbestandsmaigkeit, Rechtswidrigkeit, Schuld, 3. Auflage, 2008, S. 69

ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „ასაფეთქებელი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა მონყობილობის ან ნივთიერების გასროლა, აფეთქება ან მისი მოქმედებაში მოსაყვანად განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, სხეულის მძიმე დაზიანების, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით, რასაც შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი“. ამასთანავე, თავისი შინაარსით, აფეთქება და გასროლა ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე გადატანა ან განთავსება. აქედან გამომდინარე, მათი ერთ ნაწილში მოთავსება და ერთნაირი სანქციის განსაზღვრა არაა მართებული. ამგვარი იარაღის აფეთქება, გასროლა ან ნებისმიერი სხვა მოქმედების განხორციელება უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად და განისაზღვროს უფრო მკაცრი სანქცია. ზემოაღნიშნული მუხლების განხილვისას ცხადად გამოჩნდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობების არსი, ფუნქცია და მათ მიერ დაცული სამართლებრივი სიკეთის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

როგორც აღინიშნა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ გულისხმობს სამართლით დაცული ინტერესისათვის ზიანის მიყენებას ან მისთვის მავნე შედეგის გამოწვევის რეალური საშიშროების შექმნას, იგი დამთავრებულია დისპოზიციამში აღწერილი ქმედების ჩადენის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ „ფორმალურ დანაშაულებს შეესაბამება საფრთხის დელიქტთა ის ნაირსახეობა, რომელსაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ეწოდება. ეს დელიქტები დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედობის ჩადენისთანავე. კონსტიტუციურ ნიშანს მათთვის არ წარმოადგენს სამართლით დაცული ინტერესების რეალური დაზიანება ან თუნდაც საფრთხეში ჩაყენება. ეს ნიშნები დანაშაულის შემადგენლობის მიღმა რჩებიან და არ მონაწილეობენ პასუხისმგებლობის დასაბუთებაში. როგორც ვხედავთ, ფორმალურ შემადგენლობებსა და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს შორის სრული შესაბამისობაა ობიექტური მხარის მოცულობის მხრივ.“<sup>34</sup>

ამასთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ყველა ეგრეთ წოდებული ფორმალური დელიქტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, რამდენადაც ის რაიმე ზიანის აბსტრაქტულ შესაძლებლობას ქმნის.“<sup>35</sup> აღნიშნული მოსაზრება არაა გასაზიარებელი ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდებიან ისეთი ფორმალური შემადგენლობანი, რომლებიც არ წარმოადგენენ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს. კერძოდ, სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ყაჩაღობა, რომლის დისპოზიციაც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ყაჩაღობა ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში

<sup>34</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5

<sup>35</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 166

ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით“. განსახილველ შემთხვევაში, ყაჩაღობა იურიდიულად დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რომელიც უშუალოდ მიმართულია ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას კი უქმნის არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ საფრთხეს. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: **ყველა ფორმალური დელიქტი არ წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, მაგრამ ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ფორმალური დანაშაულია.**

#### 4 კონკრეტული საფრთხის დელიქტები

საფრთხის დელიქტების მეორე ნაირსახეობას წარმოადგენენ კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები, რომლებიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისაგან განსხვავებით, სამართლით დაცული სიკეთისათვის რეალური და კონკრეტული საშიშროების, საფრთხის შექმნას გულისხმობენ. ე.ი. განსახილველ დელიქტთა ობიექტური მხარე ითვალისწინებს სამართლით დაცული სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას.

„კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემადგენლობაში, რომლითაც გათვალისწინებული მოქმედება საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს, სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს მხოლოდ შემადგენლობით აღწერილი მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ ვალდებულია, დაადგინოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზიანების რეალური შესაძლებლობა იყო. ე.ი. ადამიანის ნებელობითმა მოქმედებამ არა საზოგადოდ, არამედ მოცემულ ვითარებაში ისეთი პირობები შექმნა, რომელიც კანონით მითითებული შედეგის რეალიზაციის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს“.<sup>36</sup>

„კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობაში კანონმდებელი არ კმაყოფილდება მხოლოდ მოქმედების აღწერით, არამედ კონკრეტულ საფრთხეზეც უთითებს. შესაბამისად მოითხოვს, რომ პიროვნების ქცევით შექმნილი იყოს საშიში მდგომარეობა სამართლით დაცულ ამა თუ იმ ობიექტისათვის. ამგვარად, კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საშიში მდგომარეობის შექმნა, როგორც გარესამყაროში განსაზღვრული ცვლილება, შეტანილია დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნებს შორის. აღნიშნული ტიპის დელიქტები მოიცავს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უშუალო საფრთხეს უქმნიან, საბოლოო ხელყოფა არ მოჰყვება“.<sup>37</sup>

<sup>36</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006 გვ. 170

<sup>37</sup> თ. ცქტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102

როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ ამაში მდგომარეობს საფრთხის დელიქტების ობიექტური მხარის თავისებურება, რომ მასში შედეგი არც პირდაპირ წერია და არც იგულისხმება. ე.ი. კონკრეტული საფრთხის რეალიზებისა და, შესაბამისად, შედეგის დადგომის შემთხვევაში კვალიფიკაცია იცვლება და სახეზეა არა კონკრეტული საფრთხის დელიქტი, არამედ სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა. სწორედ, ამ კუთხით არის საინტერესო, მიეკუთვნება თუ არა კონკრეტული საფრთხის დელიქტები ე.წ. მატერიალურ (შედეგიან) შემადგენლობათა კატეგორიას. თუმცა, ამ საკითხის გარკვევამდე ჯერ უნდა დადგინდეს თვითონ შედეგის ცნება.

„სისხლის

სამართალში შედეგი არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სპეციალურად აღნიშნულია სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი“.<sup>38</sup> შედეგი, თავისი არსით, გულისხმობს ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედების გამო გარესამყაროში გამოწვეულ გარკვეული სახის ცვლილებას, რომელიც ობიექტურად არსებობს და შესამჩნევია გარეშე პირთათვის. ამ თვალსაზრისით, კონკრეტული საფრთხის შექმნაც იწვევს გარკვეულ ზემოქმედებას გარესამყაროზე, ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის შექმნისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში შესამჩნევ ცვლილებას განიცდის კონკრეტული საფრთხის შექმნამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობა და ეს თვალშისაცემია გარეშე ობიექტური დამკვირვებლისთვისაც.

მეცნიერთა ზოგიერთი ნაწილი

მიიჩნევს, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტები ფორმალურ შემადგენლობებს მიეკუთვნებიან, რადგან ამ დელიქტებში არ არსებობს მატერიალური შემადგენლობისათვის აუცილებელი ნიშანი - რეალიზებული მავნე შედეგი. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც „სამართლით დაცული ობიექტისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნა არ შეიძლება გაუთანაბროთ იმ საფრთხეს, რომელიც ფორმალურ შემადგენლობებში გამოიხატება ქმედობის საშიში თვისებებით მათს გვარეობით გამოვლინებაში. კონკრეტული საფრთხის შექმნა გულისხმობს მოცემულ დროსა და მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ისეთი პირობების არსებობას, რომლებსაც თავიანთი კანონზომიერი განვითარებისას შეეძლოთ გარკვეული ვნების გამოწვევა“<sup>39</sup>. ეს გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც გარკვეულმა პირობებმა დაიწყეს ობიექტურად მოქმედება და მიაღწიეს საზიანო შედეგის რეალურად გამოწვევის სტადიამდე, თუმცა გარკვეულ ძალთა მოქმედების შედეგად შექმნილი კონკრეტული საფრთხე შედეგში არ იქნა რეალიზებული. სწორედ, ამ გარკვეული პირობების მიერ დაწყებულია მოქმედება, რაც იწვევს გარესამყაროზე ზემოქმედებას და ნაწილობრივ (თუმცა არა სრულად, რაც შედეგიანი შემადგენლობებისთვისაა დამახასიათებელი) ცვლის საფრთხის შექმნამდე არსებულ,

<sup>38</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2007, გვ. 120. იხ. ანალოგიური მოსაზრება ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი - დანაშაული, თბ. 2005, გვ. 98

<sup>39</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6

პირვანდელ მდგომარეობას.

„კონკრეტული

საფრთხის დელიქტებში მხედველობაშია დანაშაულებრივი ქმედებით გარე სამყაროში გამოწვეული ცვლილება, რომელიც მიმართულია სამართლით დაცული ობიექტის რეალური დაზიანებისაკენ. ამიტომაც, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, როგორც წესი, კონკრეტული საფრთხე ობიექტური მხარის დამოუკიდებელ ნიშნად მოიხსენიება“<sup>40</sup>.

მაგალითად,

სისხლის სამართლის კოდექსის 227<sup>1</sup> (პრიმა) მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია წყლის ხომალდისათვის განზრახ ცრუ ინფორმაციის გადაცემა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას. მოცემული მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან ირკვევა, რომ ხომალდისათვის განზრახ ცრუ ინფორმაციის მიწოდება დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ შემთხვევაში (და არა იდეაში) საშიშროება შეექმნა წყლის ხომალდის ნაოსნობას. შესაბამისად, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, არამედ ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში საშიშროება იყო შექმნილი წყლის ხომალდის ნაოსნობისათვის. გამომდინარე აქედან, უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი არსებობა განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდებასა და ნაოსნობისათვის საფრთხის შექმნას შორის.

მეტად საკამათოა, სსკ-ის 127-ე მუხლთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება. კერძოდ, ავტორები ერთის მხრივ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე მსჯელობისას მართებულად აღნიშნავენ, რომ „უნდა დამტკიცდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ადამიანის მოქმედებასა და საფრთხის ვითარებას შორის. შესაბამისად, ისინი განსახილველ დანაშაულს დამთავრებულად თვლიან იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა. ამის პარალელურად კი აღნიშნულ დელიქტს ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ“<sup>41</sup>.

აღნიშნული მოსაზრება არაა გასაზიარებელი, რადგან ის დელიქტები, რომელთა დამთავრებულად ცნობისთვისაც საჭიროა მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა ქმედებასა და გარესამყაროში ობიექტურად გამოწვეულ ცვლილებას შორის, უპირობოდ მიეკუთვნებიან შედეგიან ანუ მატერიალურ შემადგენლობებათა რიცხვს. მართებულად აღნიშნავს მეცნიერი თინათინ წერეთელი, რომ „სწორედ ეს აუცილებლობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დამტკიცებულ იქნეს მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და შექმნილი საფრთხის მდგომარეობას შორის, იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული

<sup>40</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6

<sup>41</sup> ზაურ წულაია, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ. 2000, გვ. 144; იხ. ანალოგიური მოსაზრება: ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), რედაქტორი - ოთარ გამყრელიძე, თბ. 2002, გვ. 204

შემადგენლობანი შედეგიან შემადგენლობათა რიცხვს მივაკუთვნოთ<sup>42</sup>. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კი მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილიდან, რომლის თანახმადაც მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

მოცემული ნორმიდან ცალსახად იკვეთება, რომ ჯერ ერთი კანონმდებელი კონკრეტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს მატერიალურ ე.წ. რეზულტატურ შემადგენლობებს მიაკუთვნებს, თუმცა, ამავდროულად განასხვავებს შედეგსა და კონკრეტულ საფრთხეს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კონკრეტული საფრთხე თავისი არსით შეიცავს შედეგის თვისობრივ ელემენტებს, კერძოდ იმას, რომ გარკვეული სახის ცვლილებები შეაქვს ობიექტურად არსებულ ვითარებაში, თუმცა არა იმ დოზით რომ შედეგს გაუთანაბროთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონკრეტული საფრთხე ამგვარ დელიქტებში წარმოდგენილია როგორც არა რეალური შედეგი, არამედ შიშოთეური შედეგი (სამართლებრივი ფიქცია). სწორედ, ამიტომაც რომ როდესაც შედეგი დგება, სახეზეა სხვა დანაშაულის შემადგენლობა. ე.ი. კონკრეტულ საფრთხეს შუალედური რგოლი უკავია აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებსა და მატერიალურ შემადგენლობებში გათვალისწინებულ შედეგს შორის.

გერმანული სსკ-ის მე-9 პარაგრაფის მიხედვით, კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში კონკრეტული საფრთხის შექმნა თითქმის ცალსახად არის აღიარებული შედეგად<sup>43</sup>.

„მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის საკითხი წყდება რესტროსპექტრულად: ქმედების განხორციელებასა და უკვე დამდგარ შედეგს შორის კავშირის გაანალიზებით მიიღება გადაწყვეტილება მიზეზობრივი კავშირის არსებობის ან არარსებობის შესახებ. დანაშაულის მატერიალური შემადგენლობებისაგან განსხვავებით, საფრთხის შემქმნელ შემადგენლობებში ის წყდება პროსპექტრულად. საქმე ისაა, რომ ქმედებასა და შედეგს შორის კავშირის რეალური დაფიქსირება შეუძლებელია შედეგის არარსებობის გამო. საფრთხეში ჩაყენების დროს უნდა დადგინდეს, წარმოადგენს კი ინკრინინირებული ქმედება ისეთს, რომელიც გამოიწვევდა შედეგის დადგომას.“<sup>44</sup>

„კონკრეტული საფრთხე არ წარმოადგენს დაცული სამართლებრივი სიკეთის მდგომარეობის, თვისების აშკარა და გაზომვად ცვლილებას. იმისათვის, რომ კონკრეტული

<sup>42</sup> თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მეორე, თბ. 2007, გვ. 420

<sup>43</sup> იხ. ბერნდ შაინრიხის სტატია: შედეგის განხორციელების ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში (გერმანულიდან თარგმნა - თ. ცქეტიშვილმა), ოთარ გამყრელიძის 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კრებულში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2016, გვ. 318

<sup>44</sup> თ. ცქეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129-130



საფრთხე შედეგად იქნეს შეფასებული, საჭიროა ნორმატიული გადანაცვეტილება. ის, რომ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა ხელყოფასთან ერთად შედეგად მიიჩნევა, მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიული გადანაცვეტილების შედეგია და არა დასაბუთების შედეგი“<sup>45</sup>. ნორმატიული შეფასება წარმოადგენს კანონმდებლის ნებას, რომლის მიხედვითაც ყალიბდება დელიქტის საკანონმდებლო კონსტრუქცია, რაც განსაზღვრავს შემადგენლობის სამართლებრივ ბუნებას. სწორედ, ნორმატიული შეფასებაა მოცემული სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილით, როდესაც აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის, რის გამოც კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები მიიჩნევა მატერიალურ შემადგენლობად. „თუ მითითება მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე კანონის დისპოზიციამა მოცემული, (ეს ზუსტად მითითებულია კონკრეტული საფრთხის დელიქტებში - ხაზგასმა ჩემია გ.გ) დანაშაულის ასეთი შემადგენლობა შედეგიან დანაშაულს განეკუთვნება“<sup>46</sup>. „კონკრეტული საფრთხის შექმნა ნიშნავს, რომ დაზიანების შესაძლებლობა ზოგადად კი არ არსებობს, არამედ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისაგან განსხვავებით, იგი არსებობს უფრო მეტად განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით და ამ სიკეთისათვის de facto რისკს წარმოადგენს, რომელიც სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული. კონკრეტული საფრთხე გულისხმობს შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის მდგომარეობის გაუარესებას - სამართლებრივი სიკეთის არსებობა ფაქტობრივად კითხვის ქვეშ არის“<sup>47</sup>.

### 3. აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის დელიქტები

აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების დახასიათების შემდეგ, მოკლედ მიმოვიხილოთ აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის დელიქტები, რომელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კომბინაციურად შეიცავს როგორც აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის, ასევე კონკრეტული საფრთხის დელიქტის ნიშნებს მეტ-ნაკლები მოცულობით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი დელიქტების დისპოზიციის ნაწილში აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური ნიშნები ფაქტობრივად სრული მოცულობითაა წარმოდგენილი, ხოლო კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტის დისპოზიციიდან კი აღებულია მხოლოდ გარკვეული ნაწილი. კერძოდ, მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 233-ე მუხლით

<sup>45</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123-124

<sup>46</sup> ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი - დანაშაული, თბ. 2005, გვ. 105

<sup>47</sup> იქვე, გვ. 124

გათვალისწინებული დანაშაული, რომლის დისპოზიციაც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ბირთვულ ან რადიაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“. მოცემულ შემთხვევაში აბსტრაქტული ელემენტი გამოიხატება იმაში, რომ, ზოგადად, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ ობიექტებზე მომხდარი ავარიის თაობაზე ინფორმაციის დამალვა საფრთხის შემცველია საზოგადოების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის თავად აღნიშნული ობიექტების დანიშნულებიდან და მომეტებული საფრთხიდან გამომდინარე. ვინაიდან ზემოაღნიშნული ობიექტები მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენენ.

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის ელემენტი კი ამ ნორმაში იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს არა მხოლოდ ინფორმაციის დაფარვისთანავე, არამედ მხოლოდ მაშინ, თუკი მას, საზოგადოდ, კონკრეტული საფრთხის შექმნის გამოწვევა შეეძლო. „მოცემული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არაა საკმარისი ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება. ასევე აუცილებელია, დამტკიცდეს, დაფარულია ისეთი ინფორმაცია, რომლის დამალვას შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“<sup>48</sup>. განსახილველ შემთხვევაში შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება იგი წმინდა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისაგან. რაც შეეხება მის განმასხვავებელ ნიშნებს კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტებისაგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირის ქმედებით იქმნება სამართლით დაცული სიკეთის დაზიანების კონკრეტული საფრთხე. აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის დროს კი პირის მიერ საშიში თვისებების შემცველი ქმედების განხორციელებით იქმნება სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობა. ე.ი. **მოცემულ შემთხვევაში არ იქმნება კონკრეტული საფრთხე, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტების კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს.**

მოკლედ რომ ვთქვათ, აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის დელიქტების დროს იქმნება საშიშროება, რომელსაც კონკრეტული საფრთხედ ქცევის ტენდენცია გააჩნია.

„აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობის ნიშანია მავნე შედეგის გამოწვევის უნარი, თუმცა კონკრეტული საფრთხის შექმნა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობის ნიშანს“<sup>49</sup>. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საბოლოოდ არ იქმნება კონკრეტული საფრთხე, როგორც

<sup>48</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 746

<sup>49</sup> თ. ცქტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69

გარესამყაროში გამოწვეული ცვლილება, აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის დელიქტებს ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად. აღნიშნული მეცნიერების ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ **მიზეზობრივი კავშირი შესაძლოა დადგინდეს ქმედებასა და უკვე არსებულ კონკრეტულ საფრთხეს შორის და არა კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობას შორის.**

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ქვეჯგუფის სახით გამოყოფენ ე.წ. „პოტენციურ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს“, რომელთა შემთხვევაშიც, მართალია, კონკრეტული საფრთხე საერთოდ არ გამოჰქვავებულა, მაგრამ ასეთ ქმედებებს, ჩვეულებისამებრ, რაიმე საფრთხის შექმნა ძალუძთ. შესაბამისად, ასევე საუბრობენ საფრთხის შექმნის უნარის მქონე ანუ აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე<sup>50</sup>.

აღნიშნულ დელიქტებთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა შემდეგი საკითხის გარკვევა, კერძოდ, აბსტრაქტულ თუ კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება ისინი? ე.ი. რამდენად დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობას შორის? როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზოგიერთი მეცნიერი მათ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების კატეგორიას მიაკუთვნებს, მეცნიერთა მეორე ნაწილი კი - კონკრეტულს.<sup>51</sup> აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად პირველ რიგში ლოგიკურად უნდა გაანალიზდეს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ბუნება. კერძოდ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დისპოზიციაში მითითებული ქმედების ჩადენა იმთავითვე, იმანენტურად გულისხმობს საფრთხის შექმნას სამართლით დაცული სიკეთისათვის. შესაბამისად, ქმედებისა და საფრთხის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და, მათი დროისა და სივრცის თვალსაზრისით, დაშორება შეუძლებელია. აბსტრაქტულ - კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში კი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს იმთავითვე ქმედების ჩადენა კი არ ქმნის, არამედ ამ ქმედებიდან წარმოშობილი გარკვეულ ძალთა მეშვეობით წარმოქმნილი საფრთხის შექმნის შესაძლებლობა. ე.ი. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახად შესაძლებელია განხორციელებული ქმედებისა და მისგან შესაძლოდ გამოწვეული საფრთხის დროისა და სივრცის კუთხით განცალკევება.

სწორედ ამიტომ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში მოსამართლეს არ აქვს უფლება თავისი ინტერპრეტაციის შესაბამისად შეაფასოს შექმნილი საფრთხის ხარისხი და დაადგინოს ასეთი საფრთხის არსებობის ფაქტი, აბსტრაქტულ - კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კი კანონმდებელი მოსამართლეს ავალეებს, დაადგინოს გარკვეული ქმედების განხორციელებას შეეძლო თუ არა სამართლით დაცული ინტერესისათვის გამოეწვია

<sup>50</sup> ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი - ირაკლი დვალიძე, თბ. 2010, გვ. 13  
<sup>51</sup> იხ. გ. მამულაშვილი წიგნში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 791

იმგვარი საშიშროება, რომელსაც კონკრეტულ საფრთხედ გადაქცევის ტენდენცია ეწეებოდა. შესაბამისად, მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს კონკრეტულ საფრთხედ ქცევის ეს შესაძლებლობა. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ გარკვეული კავშირი უნდა დაადგინოს ჩადენილ ქმედებასა და შესაძლო კონკრეტული საფრთხის შექმნას შორის. შესაძლოა, ამ მიზგზობრივი კავშირის დადგენა თავისი არსით, სიზუსტის თვალსაზრისით, არ იყოს იმგვარი ხასიათისა და ხარისხის, როგორც ეს კონკრეტული საფრთხის დადგენის დროს, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მოსამართლე გარკვეულწილად, მეტ-ნაკლები ხარისხით, მსჯელობს ჩადენილ ქმედებას, ლოგიკური განვითარების შემთხვევაში, რამდენად შეეძლო შეექმნა სამართლით დაცული სიკეთისათვის კონკრეტულ საფრთხე. სწორედ ამ ელემენტს მივყავართ დასკვნამდე, რომ მიზგზობრივი კავშირი დგინდება არა მხოლოდ ქმედებასა და უკვე არსებულ კონკრეტულ საფრთხეს შორის, არამედ, გარკვეული ხარისხით, შესაძლოა დადგინდეს განხორციელებულ ქმედებასა და კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობას შორის. აბსტრაქტულ -კონკრეტული საფრთხის დელიქტის ერთ-ერთი სახის - სსკ-ის 233-ე მუხლთან დაკავშირებით ნათქვამია შემდეგი: „უნდა დამტკიცდეს, პირს რომ არ დაეფარა ან არ დაემახინჯებინა ინფორმაცია ავარიისა თუ უბედური შემთხვევის შესახებ, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს აბსტრაქტული საფრთხე არ შეექმნებოდა“<sup>52</sup>.

დამტკიცება კი თავისი არსით გულისხმობს არა მიზგზობრივი კავშირის არსებობის დადგენას ქმედებასა და არა აბსტრაქტულ საფრთხეს, არამედ კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობას შორის. საშიშროება, რომელსაც შეეძლო ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა, ბევრად უფრო საშიშია ვიდრე აბსტრაქტული საფრთხე. ეს არის იმგვარი საფრთხის ხარისხი რომელიც უფრო მეტად შეიცავს კონკრეტული საფრთხისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და მას, ერთგვარად, შუალედური რგოლი უკავია აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხეებს შორის.

მართებულად უნდა ჩაითვალოს უცხოურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების განსაკუთრებულობა ქმედების შემადგენლობის ფორმულირებაში მდგომარეობს, თორემ მატერიალური თვალსაზრისით, ეს დელიქტები კონკრეტული საფრთხის შექმნელი დელიქტებია“<sup>53</sup>. მართალია, იგი, დისპოზიციის ფორმულირების თავისებურებით, განსხვავდება კლასიკური კონკრეტული საფრთხის შექმნელი დელიქტებისაგან, თუმცა თვისობრივად, სასამართლოს მიერ მიზგზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს. უფრო

<sup>52</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 746

<sup>53</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70

ზუსტად თუ ვიტყვით, აბსტრაქტულ - კონკრეტული საფართის დელიქტი კონკრეტული საფართის დელიქტების განსაკუთრებულ გამოვლინებას წარმოადგენს.

## 5 შუალედური დასკვნა

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ საფართის შემქმნელი დელიქტების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, შედეგიანი შემადგენლობისაგან განსხვავებით, უფრო ადრეულ სტადიაზე იწყებს ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის - ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. საფართის დელიქტი, ასე ვთქვათ, „ცოცხალი დელიქტია“, ვინაიდან მუდმივად ფეხდაფეხ მიჰყვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანერგილ მნიშვნელოვან ცვლილებებსა და მეცნიერულ მიღწევებს. სწორედ ამიტომ, დღევანდელ ვითარებაში, ფრიად იზრდება მათი როლი და დანიშნულება სისხლის სამართალში. საფართის დელიქტების ბუნებისა და მათ მიერ დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობის გათვალისწინებით სხვადასხვა კონსტრუქციითა აგებული მათი შემადგენლობანი, რის გამოც, როგორც აღინიშნა, საფართის დელიქტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფართის დელიქტებად. თუმცა, მათი საკანონმდებლო აგებულებისა და, აქედან გამომდინარე, ორ ძირითად სახედ დაყოფის მიუხედავად, ისინი გაერთიანებულნი არიან ერთი საერთო ნიშნით. კერძოდ, ეს გახლავთ ყველაზე ღირებული სამართლებრივი სიკეთის მომეტებულად დაცვის მიზანი.

## მეორე თავი

### განზრახვა საფრთხის დელიქტებში

#### 1. პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

„განზრახვა არის გადანწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს“<sup>54</sup>. როდესაც ადამიანს აქვს რალაცის გაკეთების განზრახვა, მას აქვს მიზეზი, რათა იმოქმედოს კონკრეტული გზით. განზრახვა ფორმირდება მაშინ, როდესაც ვირჩევთ იმ ქმედებას, რომელიც ჩვენი რწმენით შესაფერისია, რათა დააკმაყოფილოს ჩვენი სურვილები, აღასრულოს ჩვენი მიზნები, გამოხატოს ჩვენი ფასეულობები და საბოლოოდ ვიმოქმედოთ მის შესაფერისად, რათა მივალწიოთ დასახულ, ჩვენთვის ღირებულ მიზანს.<sup>55</sup> როგორც ცნობილია, საქართველოსგან განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად, ინგლისურ სისხლის სამართალშიც, განზრახვის ცნება არ არის ნორმატიულად განსაზღვრული, „მისი დეფინიცია ვითარდება ინგლისის უზენაესი სასამართლოების მიერ ცალკეული საქმეების განხილვისას. ქართული სამართლის მსგავსად, აქაც განზრახვა იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) განზრახვად“<sup>56</sup>. ინგლისური სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, „განზრახვა სხვა არაფერია თუ არა მიზანდასახული გადანწყვეტილება და მის განსახორციელებლად კონკრეტული ხერხით მოქმედება.

ინგლისისაგან განსხვავებით, შოტლანდიის სასამართლო პრაქტიკაში მკაფიოდ არ აქვთ განსაზღვრული განზრახვის შინაარსი, შემდეგ გარემოებათა გამო: 1) შოტლანდიის სისხლის სამართალში ზოგადად გავრცელებულია ბრალთან არა სუბიექტურად, არამედ ობიექტურად მიდგომა, რის გამოც საჭიროდ არ თვლიან, რომ ყოველი სამართალდარღვევისას ზუსტად განსაზღვრონ განზრახვის ხარისხი. იმ დროს როდესაც, ზოგადად, განზრახვა არის გონების სუბიექტური მდგომარეობის ამსახველი მოცემულობა, შოტლანდიის სამართალში ის აღქმულია ობიექტურ მტკიცებულებად (გარემოებად). 2) ამის მიზეზი შეიძლება იყოს სურვილი, რომ თავიდან აირიდონ ის სიძნელეები, რომელსაც აწყდებიან ინგლისის სასამართლოები ყოველი საქმის განხილვისას განზრახვის შინაარსის დადგენის დროს. ამგვარი პრობლემები შედეგია სწორედ ინგლისელ მოსამართლეთა

<sup>54</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, (მესამე გამოცემა) რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა. თბ. 2018, გვ. 226

<sup>55</sup> Mark Thornton, Intension in Criminal Law, Canadian Journal of Law and Jurisprudence, Vol. 5, N 2 (July 1992),

(ხელმისაწვდომია: [www.Heinonline.Org](http://www.Heinonline.Org); ბოლო ნახვის თარიღი: 12.05.2019)

<sup>56</sup> Janet Loveless, Criminal Law, Text, Cases and Materials, Third Edition, OXFORD University Press 2012, P. 108

მცდელობისა, დეტალური სახელმძღვანელო ინსტრუქცია მისცენ ნაფიც მსაჯულებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება დამტკიცდეს განზრახვა. 3) მესამე მიზეზი კი არის ის, რომ ინგლისში მკვლელობის საქმეები განხილულია განზრახვის კონტექსტში, მაშინ როცა შოტლანდიური სამართალი იცნობს ბრალის ალტერნატიულ ფორმას, ბოროტი გაუფრთხილებლობის სახით, რაც ნიშნავს იმას, რომ ამგვარ, მკვლელობის, საქმეებში განზრახვის დადგენა არ არის საჭირო, მას არ უკავია ძირითადი ადგილი (განსხვავებით ქართული და ინგლისური სისხლის სამართლისაგან; ხაზგასმა - ჩემია გ.გ).<sup>57</sup>

ქართულ სისხლის სამართალში განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. თითქმის მსავსადაა აღნიშნული საკითხი მონესრიგებული ინგლისურ სისხლის სამართალშიც, კერძოდ, პირდაპირი განზრახვით ქმედებას ჩადენილად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც მართლწინააღმდეგო შედეგი რეალურად მისაღებია ბოროტმოქმედისათვის.<sup>58</sup> პიროვნებას პირდაპირი განზრახვა გააჩნია მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას მისთვის სასურველი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად<sup>59</sup>. ფაქტობრივად აღნიშნული დეფინიცია უტოლდება პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას. თუმცა, რაც შეეხება მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვას, აქ არ იკვეთება თანხვედრა ქართულ და ინგლისურ სისხლის სამართალს შორის.

კერძოდ,

ინგლისურ სისხლის სამართალი არ იცნობს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის ცნებას და ამიტომ ამგვარ შემთხვევებს, ჩვენგან განსხვავებით, აფასებენ არაპირდაპირ განზრახვად. მეტი თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ ინგლისურ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მოყვანილი შემდეგი მაგალითი: „დ“-ს სურს „ვ“-ს მოკვლა, რომელიც დგას ფანჯრის უკან. როგორც ისინი ამბობენ, ამ დროს „დ“-ს განზრახული აქვს ფანჯრის ჩამტვრევა, რადგან ეს არის აუცილებელი წინაპირობა „ვ“-ს მკვლელობისა. მან იცის, რომ მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას აუცილებლად მოჰყვება ფანჯრის ჩამტვრევა. ინგლისელი ავტორების აზრით, ამ სიტუაციაში ფანჯრის ჩამტვრევა „დ“-სთვის არის

<sup>57</sup> Michael G. A. Christie, M.A. Criminal Law, Sixth Edition, OXFORD University Press, Edinburg 1996, p. 51-52; დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: Christopher H W Gane, Charles N Stoddart; James Chalmers, A Casebook on Scottish Criminal Law, Fourth Edition, London, 2009.

<sup>58</sup> Catherine Elliot, Frances Quinn, Criminal Law, Tenth Edition, 2014, p, 22

<sup>59</sup> AP Simester, JR Spencer, GR Sullivan, GJ Virgo, Criminal Law, Theory and Doctrine, Fifth Edition, 2013, p. 168; დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: R. A. Duff, Intension, Agency and Criminal Liability, OXFORD: Basil Blackwell, 1990, p. 219-220

დაქვემდებარებული, მეორე მიზანი, რის გამოც ფანჯრის დაზიანების მიმართ მას გააჩნია არაპირდაპირი განზრახვა<sup>60</sup>. ჩვენი კანონმდებლობით კი ანალოგიური შემთხვევა, ფანჯრის დაზიანებასთან მიმართებით, შეფასდება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად, ვინაიდან „დ“-ს ქმედებას - ფანჯრის მიმართულებით სროლას გარდუვალად მოჰყვებოდა მისი დაზიანება. ამ შემთხვევაში, არაპირდაპირი განზრახვა ცალსახად გამოირიცხება.

ამრიგად, ქართველი კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის, ისე როგორც ბრალის სხვა ფორმისათვის, იყენებს ფსიქიკის ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს. სახელდობრ, ეს ელემენტები ასეა ჩამოყალიბებული: ა) პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება; ბ) მართლწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობა ანდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა; გ) მათი განხორციელების სურვილი.

აქვე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რომ ნებელობითი მომენტის დადგენა აუცილებელია სწორედ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, რადგან მისი საკანონმდებლო დეფინიციიდან ნათლად იკვეთება პირის სურვილი მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომისა. ეს გახლავთ ის კონსტიტუციური ნიშანი, ურომლისოდაც არ არსებობს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი განმსაზღვრელია არა ნებელობითი მომენტი, არამედ - თავად ისეთი მართლწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ფაქტი და იმის გაცნობიერება, რომ ჩადენილ ქმედებას გარდუვალად მოსდევს არამართლზომიერი შედეგი. „არაა გამოირიცხული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც უტყუარად დადგინდეს, რომ პირს არ სურდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომა. თუმცა, არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, ამის დადგენა არაა სავალდებულო. მთავარია, დადგინდეს, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედებით მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობა და ამის მიუხედავად, მაინც განახორციელა ეს ქმედება“<sup>61</sup>.

#### ქართულ იურიდიულ

ლიტერატურაში საკამათოა, მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ნებელობითი მომენტის არსებობა-არარსებობის საკითხი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად „ვინც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდუვალობაში, მას აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი როცა ეს მისთვის არასასურველია“<sup>62</sup>. „ნებელობა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ორი მნიშვნელობით - დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით უნდა იყოს გამოყენებული. ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირს შედეგის

<sup>60</sup> John Smith, Hogan, Criminal Law, Butterworths, Tenth Edition, 2002, p. 50

<sup>61</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეოთხე გამოცემა) რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 269

<sup>62</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ. 2013, გვ. 132



დადგომა, მართალია გამიზნულად არ სურს, მაგრამ მის დადგომას გარდუვალად მიიჩნევს. აქ ნებელობა არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად უნდა დასაბუთდეს“<sup>63</sup>.

მეორე მოსაზრების თანახმად კი ასეთი დაშვების შეთხვევაში შემდეგი დასკვნა უნდა გაკეთდეს: მართალია, სურვილს ნორმატიული გაგებაც აქვს, მაგრამ კანონმდებელმა სს კოდექსში, რატომღაც უპირატესობა მაინც მის ფსიქოლოგიურ გაგებას მიანიჭა“<sup>64</sup>. „ცოდნა, რომ რაღაც გარდუვალად დადგება, მოსალოდნელ შედეგს სასურველად ვერ აქცევს“<sup>65</sup>.

სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა, რომლის დადგენას სისხლის სამართალში ნორმატიულ დარგში გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სურვილს ეს ვერ აქცევს ნორმატიულ კატეგორიად. არის ცნებები რომლებიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას, ესენია, მაგალითად სურვილი, მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სურვილი არც დისკრეფციული შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი ადამიანის შინაგან მხარეს წარმოადგენს, იგი არ არის გარეგანი, რომელიც აღწერას ექვემდებარება, რომელსაც რაღაც ფორმა აქვს, რომელსაც ჩვენ გარეგნულად დავინახავთ. იქ სადაც გარკვეული შედეგის გამონვევის სურვილი, (თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით არ არსებობს) მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება.“<sup>66</sup>

განზრახვის პირველი ორი ნიშანი ახასიათებს სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს და შეადგენს პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს. მესამე ნიშანი, რომელიც გამოიხატება შედეგის სურვილში, შეადგენს პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტს. პირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენისას ინტელექტუალური მომენტი გამოიხატება იმაში, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებს მისი მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას ან გარდუვალობას. მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება ნიშნავს იმას, რომ პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, რაც უნდა მოჰყვეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას.<sup>67</sup> როგორც ზემოთაც აღინიშნა, პირდაპირი განზრახვაც დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. ამრიგად, საინტერესოა მისი ურთიერთმიმართება როგორც კონკრეტული, აგრეთვე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებთან. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია პირდაპირი განზრახვის მოცემული დეფინიცია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში?

ბრალის პრინციპიდან, რომლის თანახმად ბრალი უნდა ვრცელდებოდეს შესაბამისი

<sup>63</sup> ლ. მალლაკელიძის დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 165

<sup>64</sup> იხ. ნ. თოღუა წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, (მეოთხე გამოცემა), თბ. 2019, გვ. 270

<sup>65</sup> იხ. პროფ. გურამ ნაჭყეზიას მოსაზრება თამარ გველიას სადისერტაციო ნაშრომში თემაზე: „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“, თბ. 2018, გვ. 111

<sup>66</sup> თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N 4(43), თბ. 2014, გვ. 105

<sup>67</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2007, გვ. 129

ობიექტური მხარის ყველა რგოლზე, რაც კი შემადგენლობას განეკუთვნება, საკითხი ასე გადანაცვლება: ინტელექტუალური მხრივ პირდაპირმა განზრახვამ უნდა მოიცვას ობიექტური მხარის ყველა ის რგოლი, რომლითაც საფრთხის დელიქტის ობიექტური მხარე ამოიწურება მისი საკანონმდებლო აღწერილობის მიხედვით. ნებელობითი მომენტი კი ობიექტური მხარის უკანასკნელ რგოლთან მისი დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება“.<sup>68</sup> ე.ი. პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საფრთხის დელიქტის ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, ხოლო რაც შეეხება ნებელობით ელემენტს, მას სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედების შედეგად შეიქმნას კონკრეტული საფრთხე. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სსკ-ის 127-ე მუხლით მოცემული შემადგენლობა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენებისთვის, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ე.ი. პირისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელოვანია, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. ქმედების როგორც ფაქტობრივი, ისე სოციალური ხასიათი. შესაბამისად, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის მართლწინააღმდეგო და, ამასთანავე, სხვა პირის სიცოცხლეს შეეჭმნება საფრთხე. რაც შეეხება ნებელობით მომენტს, აუცილებელია, რომ დამნაშავეს სურდეს იმ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელსაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად.

პროფესორ მინდია უგრეხელიძის მართებული შეხედულებით, „ვინაიდან რეალური შედეგი არ წარმოადგენს დანაშაულის კონტიტუციურ ნიშანს, ამიტომ მის ადგილს იჭერს წინარე ეტაპი ობიექტური მხარის განვითარებისა - რეალური საფრთხის შექმნა“.<sup>69</sup>

შესაბამისად, განსახილველ საფრთხის დელიქტში პირდაპირი განზრახვის მესამე ნიშანი - ნებელობითი ელემენტი ესადაგება უკვე შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს, როგორც შედეგის სახესხვაობას, რომელიც მოცემული შემადგენლობის კონტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს.

ქართველი მეცნიერი თინათინ წერეთელი შესაძლებლად მიიჩნევდა პირდაპირი განზრახვით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენას და აღნიშნავდა, რომ „საფრთხის შექმნის განზრახვის დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანს წარმოადგენილი ჰქონდეს დანაშაულის ყველა ნიშანი, მათ შორის თავისი ქმედების მიზემობრივი კავშირი იმ საფრთხესთან, რომელიც ამ დელიქტის თავისებურ შედეგს წარმოადგენს“<sup>70</sup>.

**რაც**

**შეეხება**

<sup>68</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13

<sup>69</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13

<sup>70</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 205

**აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს**, მათი ჩადენაც თავისუფლად შესაძლებელი პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო კონსტრუქცია, გარკვეული თავისებურებით, თუმცა მაინც შეესაბამება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის საკანონმდებლო ნიშნებს. გარკვეული თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან ისინი შედეგარეშე ანუ ფორმალურ შემადგენლობებად გვევლინება, პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი სამივე ნიშანი მიესადაგება საკუთრივ დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას.

„თუ შემადგენლობაში შეტანილი არ არის მატერიალური შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშანი, მაშინ, როგორც ჩანს, ბრალის ამა თუ იმ ფორმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ელემენტები საკუთრივ ქმედების ნიშნებს უნდა შეეხოს“.<sup>71</sup> პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მისი ფაქტობრივი და სოციალური ხასიათი, კერძოდ, ის რომ სჩადის საშიში თავისებების მქონე ქმედებას, რომელსაც იმანენტურად თან სდევს საფრთხე და, ამავდროულად, უნდა სურდეს კიდევ ამგვარი ქმედების განხორციელება. ე.ი. პირდაპირი განზრახვის შემადგენელი მესამე ელემენტი - ნებელობა, კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტისაგან განსხვავებით, დგინდება არა კონკრეტულ საფრთხესთან, არამედ საკუთრივ ქმედებასთან მიმართებით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტთან განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ ეწინააღმდეგება. რის მაგალითადაც მოხმობილია შემდეგი გამონათქვამები: „პაპიროსის მონვევის სურვილი ან ნდომა, დასვენების ან მუშაობის სურვილი ან ნდომა და ა.შ.“<sup>72</sup> „რაც იმას ადასტურებს, რომ ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტის მიმართ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს“.<sup>73</sup>

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი შემადგენლობა: „ბირთვული მასალის ან მონყობილობის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მონყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოს ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას, უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა გარიგება“.

განსახილველი შემადგენლობის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დადგინდეს, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა ე.ი.

<sup>71</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15

<sup>72</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14

<sup>73</sup> თ. ცქტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143

მისი ფაქტობრივი და სოციალური მხარე, კერძოდ, ის რომ იგი „საქმეს იჭერდა“ ისეთ იარაღთან ან მონაცობილობასთან, რომელიც საშიში თვისებების შემცველია და, ამასთანავე, მან, თავისი ნება-სურვილის შესაბამისად, განახორციელა სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედება. მაგალითად, გამოსცადა ბირთვული მონაცობილობა.

## 2. არაპირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

სსკ-ის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

„არაპირდაპირი განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახვისა ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, კერძოდ იმით, რომ აქაც კანონით აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება. მაგრამ ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნიშნის - მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ნიშნისაგან. პირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი განზრახვისას გამორიცხულია მართლწინააღმდეგო შედეგის განხორციელების აუცილებლობის გათვალისწინება, რადგანაც ასეთი გათვალისწინება წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დამახასიათებელ ნიშანს“.<sup>74</sup> ე.ი. ისინი ინტელექტუალური მხრივაც არ ემთხვევიან ერთმანეთს. თუმცა, მათ უმთავრესად ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახვის მესამე - ნებელობითი ნიშანი. ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს არ სურს თავისი მართლწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა, თუმცა, იმდენად ძლიერია გარკვეული მიზნის მიღწევის სურვილი, რომ იგი ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას ან კიდევ საერთოდ შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც „არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს დისკრეტუიულ-ფსიქოლოგიურად არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ ნორმატიულ-მერაცხვითი მნიშვნელობით აქვს შედეგის დადგომის სურვილი“<sup>75</sup>. „პირდაპირი განზრახვისაგან ევენტუალური განზრახვა ნების არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ

<sup>74</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო თბ. 2007, გვ. 132

<sup>75</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ. 2013, გვ. 130-131

მხოლოდ იმით, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მიისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, მას ამ შედეგის მიმართ რაიმე ემოციური განცდები არ აქვს“<sup>76</sup>. ზემოაღნიშნული მოსაზრება ცალსახად განიცდის გერმანული დოგმატიკის გავლენას, რადგან „გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ თუ პირი შედეგის განხორციელების ცოდნას ფლობს და მაინც მოქმედებს, მაშინ მას ამ შედეგის დადგომა სურს კიდევ, ამიტომაც გერმანელი კრიმინალისტები ევენტუალური განზრახვის სუსტი ვოლუნტატიური ელემენტის არსებობაზე მიუთითებენ. გერმანულ სისხლის სამართალში განზრახვის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს და ევენტუალური განზრახვის ამდაგვარი გაგება დოგმატიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ დასაშვებია.“<sup>77</sup>

ფიქრობთ, აღნიშნული პოზიცია არაა გასაზიარებელი და გარკვეულ დაკონკრეტებასაც საჭიროებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში გამოდის, რომ პირდაპირი განზრახვის ორივე სახის დროს პირი მიისწრაფვის საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, რაც არაა სწორი. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისას დამნაშავე მართლაც უშუალოდ მიისწრაფვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისაკენ, ვინაიდან მას სურს იგი. ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია კი პირდაპირ ხაზს უსვამს მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილზე, ჩვენს შემთხვევაში კი, „სისხლის სამართლის დოგმატიკის საფუძველი და მისი საზღვარი მოქმედი კანონმდებლობაა“<sup>78</sup>, რის გამოც ეს უკანასკნელი სწორედ ნების არარსებობით განსხვავდება პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან.

ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი დამნაშავე უშუალოდ მიისწრაფვის სხვა მთავარი მიზნისაკენ, ხოლო დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი კი წარმოადგენს ამგვარი მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი ქმედების გარდაუვალ ნაყოფს. ესე იგი გამოდის, რომ ავტორის მიერ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გასამიჯნად მოყვანილი ნიშანი - მოქმედი პირის არ სწრაფვა საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, წარმოადგენს არა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისა და ევენტუალური განზრახვის განმასხვავებელ ნიშანს, არამედ იგი მათი საერთო ნიშანია. ორივე შემთხვევაში პირი არ მიისწრაფვის ამ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, უბრალოდ მათ შორის განსხვავება მდგომარეობს შედეგის გარდუვალად დადგომის, როგორც ფაქტის, გათვალისწინების მომენტში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად „არაპირდაპირი განზრახვაში შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულისხმობს ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის აღიარებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მეორე

<sup>76</sup> ლ. მალლაკელიძის დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 166

<sup>77</sup> ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდისა სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 90

<sup>78</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდისა სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 90

ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, ნებელობა განმარტებული უნდა იქნეს ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით.<sup>79</sup>

აღნიშნული მოსაზრება არაა გასაზიარებელი, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს პირს სურს ძირითადი მიზნის განხორციელება, ხოლო სავარაუდო თანამდევი შედეგის მიმართ კი გააჩნია გულგრილი დამოკიდებულება. ანუ დამნაშავეს საერთოდ არ სურს სავარაუდოდ თანამდევი კონკრეტული შედეგის დადგომა, მაგრამ თუ დადგა, უდარდელად შეეგუება მას. აქ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, გვერდითი შედეგი არის სავარაუდო და არა გარდაუვალი. შესაბამისად, შესაძლო გვერდით შედეგზე გულგრილი დამოკიდებულება და შედეგის გარდუვალად დადგომასთან შეგუება არსებითად განსხვავებული ცნებებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია.

ევენტუალური განზრახვისას შედეგისადმი ნებელობითი მომენტის დამტკიცება გულგრილ დამოკიდებულებაზე მითითებით არ არის მართებული. ზემოთაღნიშნული პოზიციის გაზიარებით გამოვა, რომ თითქოს ამგვარი დანაწესით კანონმდებელმა გვითხრა: უფლებას გაძლევთ, სადაც მე ვიტყვი არ სურდა, იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს სურდა, სადაც მე ვიტყვი „არას“, იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს „კი“. ასეთი რამ კი ნამდვილად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ გონიერი კანონმდებლის ნებას, არამედ სამართლებრივ ლოგიკასაც<sup>80</sup>. „ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომ პირს არ სურს შედეგის დადგომა ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაგებული, ესაა კანონმდებლის ნება. ასე რომ არ ნდომოდა, არც გაითვალისწინებდა.“<sup>81</sup>

„სისხლის სამართლის დოგმატიკოსმა სისხლის სამართლის კანონის განმარტებისას (de lege data) სიტყვასიტყვითი განმარტების ფარგლებს არ უნდა გადააბიჯოს და თუ იგი კანონის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნორმის შეცვლაა აუცილებელი, მას მხოლოდდამხოლოდ de lege ferenda წინადადების წამოყენების უფლება აქვს.“<sup>82</sup> „კანონის ამგვარი განმარტება კანონის აზრის საწინააღმდეგო (contra legem) განმარტებამდე მიგვიყვანს. ამგვარ განმარტებას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართალი სამართლის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა. არსებობს სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელთა განმარტებაც იურისპრუნდენციაში მიუღებელია“<sup>83</sup> და გამოთქმა - „არ სურს“ სწორედ ამგვარ

<sup>79</sup> ლ. მალლაკელიძის დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 169

<sup>80</sup> ნ. თოდუა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეთხე გამოცემა), რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ.270

<sup>81</sup> თამარ გვეგელია, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“, თბ. 2018, გვ. 111

<sup>82</sup> ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 90

<sup>83</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2015, გვ. 200

სემანტიკურად ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს მიეკუთვნება.<sup>84</sup> პროფ. ნონა თოდუას აზრით, თუ დავინყებთ იმის მტკიცებას, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირს შედეგის დადგომის სუსტი სურვილი აქვს, მაშინ ძლიერი და სუსტი სურვილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმიც უნდა მოვძებნოთ, რაც შეუძლებელი იქნება“<sup>85</sup>. „თუ დავუშვებთ, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობის სურვილი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი, როდესაც მოცემულია ამ შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობის გათვალისწინება, მივიღებთ ისეთ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს სხვა პირს, უნდა დაგვესაჯა არა საკუთრივ გაუფრთხილებლობისათვის, არამედ განზრახვისათვის“.<sup>86</sup>

პროფესორ ვ. მაყაშვილის მართებული შეხედულებით ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი ნასიამოვნების კი დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა.<sup>87</sup> ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული არაპირდაპირი განზრახვის საკითხთან დაკავშირებით, ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც, რომელშიც ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა დაფიქსირებული იმის თაობაზე, რომ არაპირდაპირი განზრახვისას შედეგი არ არის სასურველი. ამ დროს ბრალდებული შესაძლოა მონადინებულიც კი ყოფილიყო, რომ არ დამდგარიყო ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც რეალურად დადგა, თუმცა ამის მიუხედავად, იგი მაინც ახორციელებს საზიანო ქმედებას. ეს მიდგომა უბიძგებს ინგლისელ მეცნიერებს იმისაკენ, რომ მსგავსება დაინახონ არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობას შორის, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილის ასპექტში.<sup>88</sup>

ამდენად, საინტერესოა ევენტუალური განზრახვის სამართლებრივი ბუნების კონკრეტული საფრთხის დელიქტებთან შეთავსების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო ცნებაც პირდაპირი განზრახვის მსგავსად შედეგიან ე.ი. დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. „კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე ისეთივე ელემენტია, როგორც რეალურად განხორციელებული შედეგი.“<sup>89</sup>

შესაბამისად, თავისუფლად შესაძლებელია, რომ პირი აცნობიერებდეს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, ითვალისწინებდეს რომ თავისი ქმედებით სამართლით დაცულ ობიექტს კონკრეტული საფრთხის ზონაში

<sup>84</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 91

<sup>85</sup> იხ. პროფ. ნონა თოდუას მოსაზრება ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის წიგნში: კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბ. 2010, გვ. 92

<sup>86</sup> ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ. 2000, გვ. 642

<sup>87</sup> ვ.ლ. მაყაშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1965, N 4. გვ. 19

<sup>88</sup> Smith, Keenan's English Law, Thirteenth Edition, Longman 2001, p. 23; Janet Loveless, Criminal Law, Text, Cases and Materials, Third Edition, OXFORD University Press 2012, P. 113

<sup>89</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17

აყენებს, რაც მას არ სურს, თუმცა გულგრილია კონკრეტული საფრთხის შექმნისადმი ან შეგნებულად უშვებს მას. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - შიდსის შეყრა, რომლის პირველი ნაწილითაც დასჯადაა გამოცხადებული სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა. მოცემული დისპოზიცია იმგვარადაა ფორმულირებული, რომ თავისუფლადაა შესაძლებელი მისი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა. კერძოდ, საგნებით შესაძლებელია, რომ შიდსით ინფიცირებულ პიროვნებას საერთოდ არ უნდოდეს ამ დაავადების შეყრა თავისი სქესობრივი პარტნიორისთვის, თუმცა იმდენად სურდეს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომ გულგრილად ეკიდებოდეს ამ შესაძლო შედეგებს ან შეგნებულად უშვებდეს მათ. ანალოგიურად, შესაძლებელია, სსკ-ის 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა).

**რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენას,** მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ქართველ მეცნიერთა შორის. კერძოდ, ვლ. მაყაშვილი ევენტუალური განზრახვის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში და აღნიშნავდა: „იმ შემთხვევაში, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედობის ჩადენის ფაქტს უკავშირდება, ეს უკანასკნელი აღჭურვილი უნდა იყოს გარკვეული თვისებებით, რომლებიც მას საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ანიჭებენ. ამიტომ განზრახვის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ ამ თვისებასთან იყოს დაკავშირებული სუბიექტის ფსიქიკური განცდები. თუ ქმედების ჩამდენ პირს შეგნებული არა აქვს მოცემულ შემადგენლობაში შემავალი ნიშნები, რომლებიც ქმედებას ახასიათებენ როგორც დანაშაულს, მაშინ განზრახვის საკითხი ვერც კი დაისმება, თუნდაც ამა თუ იმ მიზნით ჩადენილი ქმედება, თავისთავად, ნებით იყოს წარმართული. განზრახვა გვეჩვენა მაშინ, როცა ქმედების ჩამდენი სუბიექტი დარწმუნებულია (იყოს), რომ ეს ქმედება ხასიათდება აღნიშნული ნიშნებით (პირდაპირი განზრახვა), ან კიდევ ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსებობის შესაძლებლობა. (ევენტუალური განზრახვა)“.<sup>90</sup>

აღნიშნული მოსაზრება არაა გასაზიარებელი რამდენიმე არგუმენტის გამო. საკითხის გასარკვევად, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ერთ შემთხვევაში აცხადებს, რომ თუ პირს შეგნებული არ აქვს ქმედების შემადგენლობის ნიშნები, განზრახვა კი არა, საერთოდ დანაშაულიც არ გვეჩვენა სახეზე. მეორე შემთხვევაში კი უშვებს ქმედებისადმი განზრახვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში თუ პირს მეტ-ნაკლები ხარისხით, ეჭვის დონეზე, წარმოდგენილი აქვს ქმედების შემადგენლობაში მოცემული ნიშნების დამახასიათებელი თვისებები. ცალსახაა, რომ ეს ორი მოსაზრება ეწინააღმდეგება ერთმანეთს. **შეგნება ნიშნავს იმას, რომ პირს დაზუსტებული, უტყუარი და არა საეჭვო, მხოლოდ თავის აზრებში წარმოდგენილი, ინფორმაცია უნდა**

<sup>90</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144



გააჩნდეს ქმედების შემადგენლობის ნიშნების შესახებ. თუ იგი ეჭვობს რალაცა გარემოების შესახებ, მაშინ გამოდის, რომ მას შეგნებული არ აქვს იგი. გარდა ამისა, ავტორის მსჯელობის ლოგიკური გაანალიზების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი ერთმანეთისაგან აცალკევებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და მის დამახასიათებელ საშიშ თვისებებს. კერძოდ, მისი შეხედულებით, პირმა ერთის მხრივ ზუსტად იცის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შესახებ, თუმცა მეორეს მხრივ შესაძლოა ეჭვობდეს, თუმცა მაინც წარმოდგენილი ჰქონდეს მისი საშიში ნიშან-თვისებები.

ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში ქმედება და მისი დამახასიათებელი საშიში ნიშან-თვისებები, ერთ მთლიანობად წარმოსდგება და მათი განცალკევება დაუშვებელია. შეუძლებელია, რომ პირმა, ერთის მხრივ იცოდეს დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შესახებ თუმცა, ამავდროულად, ეჭვის დონეზე ფლობდეს ინფორმაციას მისი საშიში თვისებების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში, „განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა შეგნებულობის სინონიმი.“<sup>91</sup>

შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში განზრახვა არსებობს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს ქმედების ნიშნები (პირდაპირი განზრახვა), რაც იმთავითვე ნიშნავს, რომ მას სრული ინფორმაცია გააჩნია ამ ქმედების დამახასიათებელი საშიში თვისებების თაობაზეც და, მიუხედავად ამისა, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმადაც „სიტყვა „უშვებს“ არ უნდა იყოს ნახმარი ინტელექტუალური მნიშვნელობით, როგორც წარმოდგენა გარკვეული ნიშნების შესაძლებლობის არსებობისა. „დაშვება“ ზუსტი იურიდიული მნიშვნელობის და სრულიად გარკვეული ფსოქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია. იგი გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი.“<sup>92</sup>

აქ ავტორს მხედველობაში აქვს დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან შექმნილი კონკრეტული საფრთხე. მართლაც, სსკ-ის მე-9 მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ უთითებს რომ დაშვებაში იგულისხმება შედეგი ან კონკრეტული საფრთხე. ჩვენ თუ „დაშვებას“ გავავრცელებთ ქმედების დამახასიათებელ საშიშ თვისებებზეც, მაშინ ძალაუნებურად ვაცალკევებთ ქმედებასა მასზე იმანენტურად მიბმულ საფრთხეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ქმედების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უნდა ჩავთვალოთ შედეგად და დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი, რაც გაუმართლებელია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში.

ამიტომაც პროფესორი მინდია უგრეხელიძე გაუმართლებლად მიიჩნევს საკითხის

<sup>91</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბ. 2011, გვ. 380

<sup>92</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16

დასმას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა ან მისი განმსაზღვრელი თვისებების დაშვების შესახებ. მისი მართებული შეხედულებით, „ეს გარემოებანი შეიძლება მხოლოდ იცოდეს ან არ იცოდეს დამნაშავემ, შეგნებული ჰქონდეს მას, ან არ ჰქონდეს შეგნებული. აქედან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში წარმოუდგენლად მიაჩნია“.<sup>93</sup> აღნიშნულ საკითხზე ანალოგიურად მსჯელობს პროფესორი ნონა თოდუაძე, „რომელიც აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ყოველთვის პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი.“<sup>94</sup>

### 3. განზრახვა მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებში

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ მიზნით დაფუძნებულ საფრთხის შემადგენლობებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგადად, განვიხილოთ მიზნით დაფუძნებული დელიქტის თავისებურებანი. ამ უკანასკნელს სხვანაირად გამიზნით დელიქტადაც მოიხსენიებენ, რადგან მიზანი ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა სუბიექტური მხარის ნიშანს, არამედ ქმედების დამაფუძნებელ, კონსტიტუციურ ნიშანს. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც დელიქტის საკანონმდებლო შემადგენლობაში მითითებულია მიზანზე, აღნიშნული ქმედება უნდა წარიმართოს სწორედ ამ მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული დელიქტით გათვალისწინებული დანაშაული სახეზე არ გვექნება. ასეთი შემთხვევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით, ან საერთოდ არ წარმოადგენდეს დანაშაულს. ამიტომ, კონკრეტული ქმედების შეფასებისას აუცილებელია შემადგენლობის დამაფუძნებელი მიზნის დადგენა.<sup>95</sup>

მაგალითად, მიზნით დაფუძნებულ დელიქტს წარმოადგენს სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (პირველი ნაწილი) ან არასრულწლოვნის გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (მეორე ნაწილი). განსახილველ შემთხვევაში, მიზანმა შექმნა სპეციალური შემადგენლობა, რომელიც ობიექტური მხრივ სრულად შეესაბამება სსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - არასრულწლოვანთა ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის ნაწილს, თუმცა შვილად აყვანის მიზანი აქცევს მას სულ სხვა დანაშაულად.

<sup>93</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17

<sup>94</sup> ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007, N 2/3, გვ. 154

<sup>95</sup> იხ. ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეხუთე გამოცემა, თბ. 2017, გვ. 320

კერძოდ, თუ ბრალდებულს ვერ დაუმტკიცდა, რომ შვილად აყვანის მიზნით მოქმედება, მაგრამ უტყუარად დადგინდა მის მიერ ბავშვის ყიდვა-გაყიდვის ფაქტი, ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არასრულწლოვანთა ვაჭრობით (ტრეფიკინგი; სსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლი). ე.ი. „თუკი მას არასრულწლოვნის ექსპლუატაციის მიზანი ამოძრავებს, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143<sup>2</sup> მუხლით. მაგალითად, როცა პირი საკუთარი ფულით ყიდულობს არასრულწლოვანს იმისათვის, რომ იგი შემდგომ უფრო მეტ ფასად მიჰყიდოს შვილად ამყვანს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არასრულწლოვნით ვაჭრობით.“<sup>96</sup>

მიზანი აფუძნებს არა მხოლოდ შედეგიან შემადგენლობებს, არამედ საფრთხის დელიქტებსაც. კერძოდ, საუბარია მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებზე, რომელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის დისპროპორცია არსებობს. ობიექტურ ნიშნებს სჭარბობს სუბიექტური ნიშნები. მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტების ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის საჭირო არც კონკრეტული საფრთხის შექმნა და არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, იგი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს სცილდება. ამ ტიპის დელიქტთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი სუბიექტური ნიშანი კონკრეტული მიზანია.“<sup>97</sup> მაგალითისათვის შესაძლებელია მოვიყვანოთ სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ყაჩაღობა ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. „ადვილი შესამჩნევია, რომ დანაშაულის ობიექტური მხარე აქ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით (ან მისი გამოყენების მუქარით) ამოიწურება, სუბიექტური მხარე კი სცილდება შემადგენლობაში აღწერილი ობიექტური მხარის ფარგლებს და იგი ქონების დაუფლებებზე ვრცელდება,“<sup>98</sup> არადა ქონების დაუფლება არ შედის ყაჩაღობის საკანონმდებლო შემადგენლობაში. მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტებია აგრეთვე სსკ-ის 329-ე მუხლი (მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით), 144-ე მუხლი (მძევლად ხელში ჩაგდება), 335-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით)<sup>99</sup> და ა.შ.

მართებულად

აღნიშნავს პროფესორი მინდია უგრეხელიძე, რომ „მიზნით დაფუძნებულ საფრთხის შემადგენლობებში (მარტივი ვარიანტით იქნება იგი წარმოდგენილი, თუ რთულით)

<sup>96</sup> იხ. ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ.

მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 439

<sup>97</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78-79

<sup>98</sup> მ. უგრეხელიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 19

<sup>99</sup> იხ. ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2, მე-5 გამოცემა, თბ. 2017, გვ. 337

ევენტუალური განზრახვა გამორიცხულია“<sup>100</sup>. ვინაიდან დამნაშავე გამიზნულად მოქმედებს მხოლოდ ერთადერთი კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ასეთი მიზანსწრაფვა კი დამახასიათებელია, მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისათვის. „მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში თვით კანონი მოითხოვს ხაზგასმით თავის აუცილებელ კონსტიტუციურ ელემენტად შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიღმა მდგომი შედეგის განხორციელების მიზანს“<sup>101</sup>. როგორც ზემოთაქ აღინიშნა, მთავარი განსხვავება მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებსა და ჩვეულებრივ საფრთხის შემადგენლობებს შორის (აბსტრაქტული, კონკრეტული საფრთხის დელიქტები) არის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების თანაფარდობა. კერძოდ, კლასიკურ აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში ობიექტური და სუბიექტური ნიშნები თანაბრადაა წარმოდგენილი, მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებში კი არათანაბრად, კერძოდ, სუბიექტური მხარე უფრო მეტია ვიდრე ობიექტური. „ამიტომ ბრალის დასაბუთება შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიღმა მდგომი შედეგებისადმი ასეთ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია.“<sup>102</sup>

„ამგვარად, ობიექტური შემადგენლობის მიღმა მდგომი შედეგის განხორციელების მიზანი იმიტომ კი არ უნდა ვამტკიცოთ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში, რომ ასეთი მოთხოვნა ბრალის ზოგადი კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებელმა იწება ასეთი გამონაკლისი“<sup>103</sup>.

#### 4. ალტერნატიული განზრახვა საფრთხის დელიქტებში

„ალტერნატიულია განზრახვა, როცა მოქმედის წარმოდგენით ორი სხვადასხვა შედეგი ნათლად არის გამოკვეთილი“.<sup>104</sup> „ალტერნატიული განზრახვის დროს პირს რამდენიმე შესაძლო შედეგი აქვს დაკონკრეტებული. იურიდიულ ლიტერატურაში ალტერნატიული განზრახვის სამ ძირითად სახეს გამოყოფენ: 1) როდესაც პირის განზრახვა მიმართულია ერთი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ. მაგ. პირი ესვრის მღვევარს მოკვლის ან მისი ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით. 2) პირის განზრახვა მიმართულია ორი ან მეტი ერთ იერარქიულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სიკეთის მატარებლის წინააღმდეგ. მაგ: პირი ესვრის სამ მღვევარს და მისთვის სულერთია რომელი მოკვდება. 3) პირის განზრახვა მიმართულია ორი ან მეტი სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ. მაგ: პირი ესვრის ცხენიან კაცს და იცის, რომ იგი ან

<sup>100</sup> მ. უგრეხელიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21

<sup>101</sup> მ. უგრეხელიძე, იქვე, გვ. 21

<sup>102</sup> მ. უგრეხელიძე, იქვე, გვ. 22

<sup>103</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22

<sup>104</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ. 2008, გვ. 106

კაცს მოკლავს ან ცხენს.“<sup>105</sup>

მეტი

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ საფრთხის დელიქტების ალტერნატიული განზრახვის ზემოთაღნიშნული სახეებით ჩადენისა და მისი დაკვალიფიცირების საკითხები. მოვიყვანოთ ალტერნატიული განზრახვის პირველი სახით ქმედების ჩადენის მაგალითი. პეტრე და პავლე ერთმანეთს შეხვდებიან სამგაზვრო მატარებლის ვაგონში. აღმოჩნდება, რომ პეტრე თავის მეუღლესთან ერთად იმავე კუპეშია, სადაც ადგილი აქვს პავლეს. პეტრეს გაახსენდება, რომ პავლე მისი მეუღლის ყოფილი შეყვარებულია და ამიტომ არ მოისურვებს პავლესთან ერთად მგზავრობას, ვინაიდან არ სურს მისი მეუღლე შეხვდეს პავლეს. ამის გამო, იგი ვაგონის ბოლოში დაიბარებს პავლეს და სთხოვს, რომ სხვა კუპეში გადაინაცვლოს, რაზედაც მტკიცე უარს მიიღებს. ამასობაში მატარებელიც დაიძრა, პეტრემ უცხად გამოაღო ვაგონის კარი და მოულოდნელად ხელის კვრით გადაავლო პავლე მატარებლიდან. რის შედეგადაც პავლე ჩავარდა ბალახებში და არ მიუღია ჯანმრთელობის დაზიანება.

განსახილველ შემთხვევაში, პეტრეს მხოლოდ ის სურდა, რომ მის მეუღლეს არ ენახა პავლე. თავისი ქმედების შედეგად კი იგი ითვალისწინებდა როგორც მის ჯანმრთელობის დაზიანებას, ისევე მისი უვნებლად გადარჩენის შესაძლებლობას. მისთვის ორივე შედეგი თა მისაღები იყო, რადგან მთავარი მიზანი-პავლესთან ერთად ერთ კუპეში მგზავრობის თავიდან აცილებული იყო.

საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული შემთხვევა? „ალტერნატიული განზრახვა ტრადიციულად დამდგარი შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება.“<sup>106</sup> ე.ი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ დადგა არანაირი სახის შედეგი, პავლეს სიცოცხლეს კი შეექმნა კონკრეტული საფრთხე. როგორც აღინიშნა, პეტრე გულგრილი იყო პავლეს მიმართ მოსალოდნელი გვერდითი შედეგებისადმი, შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 127-ე მუხლით. ე.ი. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ალტერნატიული განზრახვით თავისუფლადაა შესაძლებელი კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. შედეგი რომ დამდგარიყო ჯანმრთელობის დაზიანების სახით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმის ხარისხის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში სრულიად გამოირიცხება პირდაპირი განზრახვა მოსალოდნელი შედეგებისადმი, ვინაიდან ჯერ ერთი პეტრეს მიერ პავლეს მატარებლიდან გადაგდების მთავარი მიზანი იყო არა მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, არამედ - მატარებლიდან მოშორება. მეორე, დაძრული მატარებლიდან პირის გადაგდებას გარდუვალად თან არ სდევს სიკვდილი. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, პეტრეს ქმედების მკვლევლობის მცდელობად შეფასება წარმოუდგენელია. ამდენად, ეს ქმედება არ იყო ჩადენილი არც პირველი და არც მეორე

<sup>105</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი - დანაშაული, თბ. 2014, გვ. 104

<sup>106</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი - დანაშაული, თბ. 2014, გვ. 104

ხარისხის პირდაპირი განზრახვით. ალტერნატიული განზრახვის მეორე სახის დროს, როგორც უკვე აღნიშნა, იურიდიულ ლიტერატურაში მაგალითის სახით მოჰყავთ შემდეგი შემთხვევა: პირი ესვრის სამ მღვეარს და მისთვის სულ ერთია, თუ რა შედეგი დადგება. ე.ი. განსახილველ შემთხვევაში, პირის მიზანია არა მათი დახოცვა ან მათთვის ზიანის მიყენება, არამედ - ჩამოშორება, მათი ხელიდან თავისუფლად დასხლტომის უზრუნველსაყოფად, თუმცა იგი აგრეთვე ითვალისწინებს თავისი ქმედების შედეგად რომელიმე პირისათვის ჯანმრთელობის დაზიანების ან ამ უკანასკნელების გარდაცვალების შესაძლებლობას, თუმცა იგი გულგრილად ეკიდება შესაძლო გვერდით შედეგებს.

განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტი: 1) ნასროლი ტყვიის შედეგად დაიღუპა ერთ-ერთი მღვეარი. მოცემულ ვითარებაში, როგორც უკვე აღინიშნა, პირისათვის სულერთი იყო რა შედეგი დადგებოდა. მაშასადამე, იგი გულგრილი იყო სავარაუდო შედეგებისადმი. აქედან გამომდინარე, გარდაცვლილი მღვეარის მიმართ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ მკვლელობად (108-ე მუხლი), ხოლო დანარჩენი ორი პირის მიმართ კი სსკ-ის 127-ე მუხლით, ვინაიდან მათ რეალურად შეექმნათ სიცოცხლისათვის საშიში კონკრეტული საფრთხე, რადგან ისინი მხოლოდ შემთხვევითობის გამო გადაურჩნენ სიკვდილს. „მაშინ

როცა ალტერნატიული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, ქმედების მხოლოდ დამთავრებული მუხლით კვალიფიკაციით დაირღვეოდა თანასწორუფლებიანობის ფუძემდებლური პრინციპი. აღნიშნული პრინციპით ერთნაირადაა დაცული ყველა ადამიანის სიცოცხლე, როგორც გარდაცვლილი, ისე სიკვდილს შემთხვევით გადაარჩენილი ადამიანის სიცოცხლე. ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დამცველი ნორმის მიზანი.“<sup>107</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ქმედება დამთავრებულ მკვლელობის მუხლთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სხვისი სიცოცხლისათვის განზრახ საფრთხის შექმნის მუხლით (სსკ-ის 127-ე მუხლი).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ალტერნატიული განზრახვის დროს წარმოდგენილი შეიძლება იყოს ევენტუალური განზრახვა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პირდაპირი განზრახვის არსებობას<sup>108</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება ევენტუალური განზრახვის არსს. კერძოდ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ალტერნატიული განზრახვის დროს დამნაშავეს თანაბრად სურს ორი ან მეტი შედეგიდან ერთ-ერთის დადგომა. მაშინ როდესაც დამნაშავე ორ პირს გაუხსნის ცეცხლს და საიდანაც მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის მოკვლა სურს, ანუ ამ კაცის სიკვდილის მიმართ მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორე პირის მიმართ - არაპირდაპირი განზრახვით, ანუ მას ამ უკანასკნელის

<sup>107</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149

<sup>108</sup> თ. ცქიტიშვილი, იქვე, გვ. 150

მოკვლა საერთოდ არ სურს, მისი მოკვლით იგი მიზანს ვერ მიაღწევს, არამედ პირიქით, მას უფრო მეტად გაუხარდება, რომ თავის მიერ ნასროლი ტყვია ასცდეს ამ პირს და მოხვდეს სწორედ იმას, ვისი მოკვლაც სურს. იმდენად დიდია პირველი კაცის მოკვლის სურვილი, რომ იგი არად დაუდევს მეორე პირის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას და დაჟინებით, მიზანმიმართულად ისვრის ტყვიებს, ანუ მისთვის მთავარია დასახულ მიზანს მიაღწიოს და გულგრილად ეკიდება მეორე პირის შესაძლო სიკვდილის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში ბოროტმოქმედს თანაბრად არ სურს ორი პირიდან ერთ-ერთის მოკვლა, მისთვის სულ ერთი არაა რომელი მოკვდება, არამედ პირიქით, იგი მხოლოდ კონკრეტულად ერთი პირის მოკვლით მიაღწევს დასახულ მიზანს. ალტერნატიული განზრახვის დროს კი ბოროტმოქმედს თანაბრად სურს ორიდან ერთ-ერთის მოკვლა და მისთვის სულ ერთია, რომელი იქნება ეს. შესაბამისად, მართებულად არ უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ალტერნატიული განზრახვის დროს ევენტუალურთან ერთად შესაძლებელია პირდაპირი განზრახვაც.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „რაკი პირდაპირი განზრახვა გარკვეული შედეგის დადგომის გარდუვალობის გაცნობიერების გარეშე შედეგის გამონვევის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, ალტერნატიული განზრახვა ტოვებს ადგილს პირდაპირი განზრახვისათვის და მას არ გამოორიქხავს.“<sup>109</sup> პირიქით, სწორედ პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი მხოლოდ კონკრეტული შედეგის დადგომის სურვილი გამოორიქხავს მის ადგილს ალტერნატიულ განზრახვაში. რაც შეეხება ალტერნატიული განზრახვის მესამე სახის მაგალითს, კერძოდ, პირი ესვრის ცხენიან კაცს და იცის, რომ იგი ან კაცს მოკლავს ან ცხენს. მართებულადაა აღნიშნული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ იმ შემთხვევაში როცა სამართლებრივი სიკეთეები არ არის თანაბარი ღირებულების და ალტერნატიული განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მხოლოდ ერთი ქმედების შემადგენლობის განხორციელება მოჰყვება, უპირატესობა ენიჭება უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს. კერძოდ, თუ დამნაშავეს მოქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო ნაკლები ღირებულების სამართლებრივი სიკეთე (ცხენი), რომლის ხელყოფის საფრთხეც არსებობდა გადარჩა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, მხოლოდ როგორც ადამიანის მკვლელობა. „უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე გადაფარავს უფრო მცირეს“<sup>110</sup> ხოლო, მაშინ, როცა საწინააღმდეგო სურათს მივიღებთ (ცხენის სიკვდილი და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა) წარმოდგენილი მოსაზრებით, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც სხვისი ნივთის განადგურება ან დაზიანება ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემადგენლობასთან ან მკვლელობის მცდელობასთან ერთად<sup>111</sup> (ამ

<sup>109</sup> თ. ცქიტიშვილი, იქვე, გვ. 150

<sup>110</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ. 2013, გვ. 147

<sup>111</sup> მ. ტურავა, მე-9 გამოცემა, გვ. 147. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 314

შემთხვევაში გააჩნია ბოროტმოქმედის განზრახვის მიმართულებას - ხაზგასმა ჩემია გ.გ).<sup>112</sup>

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული განზრახვით შედეგიან დანაშაულებთან ერთად, თავისუფლადაა შესაძლებელი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელება, იმ შემთხვევაში, რიდესაც პირი გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთის მიმართ ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა.

## 5 შუალედური დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ განზრახვა შედეგიან (დასრულებულ) დელიქტებზე გათვლილი, როგორც ვხედავთ, მათი საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან შეთავსება, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, თუმცა მაინც შესაძლებელია. ამ მხრივ პრობლემას არ ქმნის კონკრეტული საფრთხის დელიქტები, ვინაიდან ისინი, თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ახლოს დგანან შედეგიან დელიქტებთან და, ფაქტობრივად, მათ გარკვეულ სახესხვაობასაც კი წარმოადგენენ. შესაბამისად, კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, აგრეთვე არაპირდაპირი განზრახვით. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, მოცემულ შემთხვევაში საკამათოდაა მიჩნეული ევენტუალური განზრახვითა მისი ჩადენის შესაძლებლობა.ეს პრობლემა უკავშირდება სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ფორმალურ ბუნებას და აგრეთვე იმას, შესაძლებელია თუ არა ქმედებისაგან აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნა. თუ ამ უკანასკნელ ვერსიას ვუარყოფთ, მაშინ ლოგიკურად წარმოუდგენელია არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელება, ხოლო თუ გავიზიარებთ ქმედებისაგან დროითა და სივრცით საფრთხის გამიჯვნის თეორიას, მაშინ თეორიულად შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში.

## მესამე თავი

### გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში

#### 1. თვითიმედოვნება საფრთხის დელიქტებში

განზრახვის საკითხის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია, შევჩერდეთ გაუფრთხილებლობის მნიშვნელობაზე საფრთხის დელიქტებში. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული

<sup>112</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152



ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. „თვითიმედოვნებას მეორენაირად შეგნებულ ანუ გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობასაც უწოდებენ“.<sup>113</sup>

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ სისხლის სამართალში გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს და იგი განისაზღვრება სასამართლოების მიერ ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას. ინგლისში ძირითადად გაუფრთხილებლობის ორ სახეს გამოჰყოფენ: ჩვეულებრივ გაუფრთხილებლობას და უხემ გაუფრთხილებლობას. ეს უკანასკნელი გულისხმობს უკიდურესი ან სერიოზული დაუდევრობის გამოვლინებას და ძალიან ჰგავს ამერიკელი პროფესორის პრესტონ ქოლდველის მიერ ჩამოყალიბებულ დაუდევრობის განსაზღვრებას. ჩვეულებრივი დაუდევრობა კი მიიჩნევა საშუალო დონის დაუდევრობად. ფაქტობრივად, გაუფრთხილებლობის ამ ორ სახეს შორის ზუსტი ზღვრის გავლება და მკაფიო განმარტების დადგენა შეუძლებელია და ეს დამოკიდებულია სასამართლოების მიერ ინდივიდუალური საქმეების განხილვისას გაკეთებულ განმარტებებზე. ინგლისის სისხლის სამართალში უმეტესად გავრცელებულია სწორედ ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობა. ამის მაგალითად მოყვანილია მძლოლის მიერ ავტომობილის სათანადო წესების დარღვევით მართვა. ხოლო რაც შეეხება გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ამ დროს სასამართლოები მითითებას აკეთებენ სწორედ უხემ, სერიოზულ გაუფრთხილებლობაზე.<sup>114</sup> გაუფრთხილებლობის ანალოგიური სახეები გვხვდება აშშ-ს სისხლის სამართალშიც.<sup>115</sup>

„კანონის მიხედვით თვითიმედოვნების ინტელექტუალური მომენტი წააგავს განზრახვისთვის - როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურ მომენტს. ორივე ამ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, მაგრამ პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინების ცნება არსებითად განსხვავდება გაუფრთხილებლობის ორივე სახისათვის დამახასიათებელი გათვალისწინებისაგან.“<sup>116</sup>

თვითიმედოვნებისას პირს გაცნობიერებული აქვს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოდ ასეთ ქმედებას შეუძლია გამოიწვიოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ, მისი აზრით, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, საფრთხის რეალიზაცია გამორიცხებულია. მაგალითად, როცა პირი ავტომობილს მართავს საგზაო მოძრაობის

<sup>113</sup> მ. ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 245

<sup>114</sup> Russel Heaton, Criminal Law, Second Edition, OXFORD University Press 2006, P. 72

<sup>115</sup> David C. Brody, James R. Acker, Criminal Law, Third Edition, 2015, P. 296

<sup>116</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 135-136

ნესების დარღვევით, ამ დროს იგი საერთოდ ითვალისწინებს, რომ შეიძლება ადამიანს დაეჯახოს. მას გათვალისწინებული აქვს არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული საშიშროება. „პირი, რომელიც ითვალისწინებს შედეგის დადგომას საერთოდ პრინციპში, გამორიცხავს შედეგის დადგომას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ძირეული განსხვავება თვითიმედოვნებისა განზრახვისაგან, პირველ რიგში, მაინც არაპირდაპირი განზრახვისაგან ნებელობითი მომენტისაგან წარმოსდგება. არაპირდაპირი განზრახვისას იღებს გადანყვეტილებას იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. თვითიმედოვნებისას პირი იქით, პირი გადანყვეტს იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, რადგან იმედოვნებს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცილენ. სწორედ პირის შინაგანი რწმენა, რომ შედეგი არ განხორციელდება, წარმოადგენს ერთ-ერთ მოტივს, რაც განაპირობებს მის მიერ ქმედების ჩადენას“.<sup>117</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „გაუფრთხილებლობით შეიძლება ჩადენილ იქნეს ის დანაშაული, რომელიც მატერიალურ შემადგენლობას შეიცავს. ე.ი დანაშაული, რომლის ობიექტური მხარე შეიცავს კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს“.<sup>118</sup>

ამდენად, საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენა, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული საფრთხე კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგად? როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონკრეტული საფრთხის შექმნა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია, ამასთანავე სსკ-ის მე-8 მუხლის საფუძველზე დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, შესაბამისად, კონკრეტული საფრთხეც ითვლება კანონით გათვალისწინებულ შედეგად, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით. „თვითიმედოვნების

დროს დამნაშავე დარწმუნებულია, რომ დანაშაულებრივ შედეგს თავიდან აიცილებს, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებულია კონკრეტული საფრთხის, როგორც გარკვეული შედეგის, თავიდან აცილებაში“.<sup>119</sup> „თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენას მხარს უჭერს პროფესორი მინდია უგრეხელიძეც და აღნიშნავს, რომ სუბიექტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ რეალურ საფრთხეს ქმნის თავისი ქმედობით, მაგრამ ქარაფუტულად იყოს დარწმუნებული, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს მოპირისპირე გამანეიტრალებელი ძალები, რომლებიც ხელს შეუშლიან საფრთხის

<sup>117</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 136

<sup>118</sup> იქვე, გვ. 135

<sup>119</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154

მრავლად ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომელთა ჩადენა გაუფრთხილებლობითაა შესაძლებელი. ზოგიერთ შემთხვევაში გაუფრთხილებლობაზე პირდაპირი მითითება თავად მუხლის შემადგენლობაშია მოცემული. მაგალითად სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ზოგჯერ კი თავად ქმედების შემადგენლობის ხასიათი მიუთითებს გაუფრთხილებლობაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის 229<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ელექტროენერგიით ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით წესების დარღვევა, ისეთი საშუალების გამოყენებით, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. განსახილველ შემთხვევაში, დისპოზიციის ფორმულირებიდან გამომდინარე, მისი ჩადენა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით - როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობითაც. მოცემული დელიქტი ბლანკეტური ხასიათისაა, ვინაიდან ზემოაღნიშნული წესები დადგენილია შესაბამისი კანონქვემდებარეან სხვა აქტებით, რომლებიც გამოიყენებიან ზემოაღნიშნულ სფეროებში სამუშაოების წარმართვისას. რა შეეხება მის ჩადენას თვითიმედოვნებით, ამის მაგალითია შემდეგი შემთხვევა: გაზგასამართ სადგურზე მომუშავე პირმა ავტომობილში ბუნებრივი ენერჯის ჩასატვირთად გამოიყენა მის მიერ კუსტარულად დამზადებული ხელსაწყო, რასაც აალება და მანქანის აფეთქება მოჰყვა, რის შედეგადაც გვერდზე მდგომ ავტომანქანის მფლობელს შეექმნა სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე.

მოცემულ შემთხვევაში, პირმა იცოდა, რომ ამგვარი ხელსაწყოს გამოყენება აკრძალულია და იწვევს მავნე შედეგებს, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო მის მიერ შექმნილი ხელსაწყოს საიმედოობაში და ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა მისი ქარაფუტული მოლოდინები არ გამართლდა. თუ ადამიანი ასეთ ობიექტზე განზრახ გამოიყენებს აკრძალულ საშუალებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა ამ კონკრეტული საფრთხის დელიქტით, არამედ დამდგარი შედეგის მიხედვით სხვა განზრახი დანაშაულის მუხლით. რაც შეეხება თვითიმედოვნებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენას, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. **მეცნიერთა ნაწილს** აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნება ლოგიკურად წარმოუდგენლად მიაჩნია. „თუ სუბიექტი ახორციელებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას და შეგნებული აქვს ეს გარემოება, მაშინ ცხადია, მას არ შეუძლია თუნდაც ქარაფუტულად ივარაუდოს, რომ თავიდან აიცილებს მას ან ივარაუდოს, რომ მისი ქმედობა დაჰკარგავს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს (ვინაიდან ქმედება და მისი დამახასიათებელი მავნე ნიშან-თვისებები

<sup>120</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124

ლოგიკურად ერთ მთლიანობას წარმოადგენენ ხაზგასმა ჩემია გ.გ). აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება წარმოადგენს ყველაზე უფრო ზოგად, აბსტრაქტულ ნიშანს მის სხვადასხვა გამოვლინებებში. იგი გვევლინება როგორც ქმედების იმანენტური თვისება. ამიტომ მისი შეგნება არ ტოვებს ადგილს რაიმე ვარაუდისათვის, რომ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ქმედების ფაქტობრივი მხარე რაღაც მომენტში დაჰკარგავს თავის სოციალურ თვისებას“.<sup>121</sup>

მართლაც, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია დისპოზიციამი აღწერილ საზოგადოდ, საყოფაცხოვრებო გამოცდილებიდან გამომდინარე, საზიანო შედეგების მომტან ქმედების ჩადენასთან, ხოლო მისი ჩადენის შემდგომ განვითარებული გვერდითი მოვლენები მეორეხარისხოვანია, ვინაიდან ისინი შემადგენლობის მიღმაა. აქედან გამომდინარე, ბრალის საკითხის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას დისპოზიციამი აღწერილი ქმედებისადმი.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისა და თვითიმედოვნების ბუნებიდან გამომდინარე, ალოგიკურია, რომ პირს ერთის მხრივ შეგნებული ჰქონდეს საშიში თვისებების შემცველი ქმედება, რომელსაც სჩადის, ხოლო მეორეს მხრივ კი, უსაფუძვლოდ იმედოვნებდეს, რომ გარკვეულ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა ძალით, მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად რეალიზებული არ იქნება მასთან ორგანულ კავშირში მყოფი საფრთხე. მაგალითად, პირი, რომელიც შექმნის უკანონო შეიარაღებულ ბანდას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად, ალოგიკურია, რომ იგი იმავდროულად გამორიცხავდეს საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების საფუძვლებისათვის საფრთხის შექმნას.

„უსაფრთხოების ნორმის დარღვევის გაცნობიერებასთან ერთად ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქცევა ხელყოფის ობიექტისათვის ქმნის ისეთი ხარისხის საფრთხეს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის შექმნის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს უზრუნველყოფს. რასაკვირველია, თუკი ადამიანი შეიცნობს, რომ არღვევს წინდახედულობის ნორმას, ამით ის საზოგადოდ საფრთხის შექმნის საზოგადოებრივ საშიშროებასაც აცნობიერებს“.<sup>122</sup>

**მეცნიერთა მეორე ნაწილი** კი თვითიმედოვნებას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში შესაძლებლად მიიჩნევს და მის დასასაბუთებლად მიუთითებენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გამორჩეულ ტიპზე, რომელსაც აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახელწოდებით მოიხსენიებენ. მაგალითად კი მიუთითებენ სსკ-ის 242-ე მუხლზე.<sup>123</sup> აღნიშნული მუხლით დასჯადადა გამოცხადებული აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოოტექნიკური

<sup>121</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25

<sup>122</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 207

<sup>123</sup> თ. ქციტიშვილი, დასახ. ნაშრომი. 155-156

უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი. მოცემული მუხლის შემადგენლობა მართლაც შესაძლებელია განხორციელდეს თვითიმედოვნებით, რადგან დამნაშავე შესაძლოა აცნობიერებდეს, რომ არღვევს სანარმოო წესებს და ამავდროულად იმედს ამყარებდეს თავის გამოცდილებაზე და ვარაუდობდეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიქმნება მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობა. სწორადაა აღნიშნული, რომ „ამ შემთხვევაში თვითიმედოვნება სწორედ შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი დამოკიდებულებით დგინდება“<sup>124</sup>. თუმცა, როგორც აღინიშნა, ჩვენგან განსხვავებით, ისინი აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად განიხილავენ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სსკ-ის 242-ე მუხლთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.<sup>125</sup>

ფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრება ოდნავ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან განსახილველი მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, **მოცემული დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს არა მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან (ეს დამახასიათებელია კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტებისათვის), არამედ მაშინ როდესაც შეიქმნება საფრთხის იმგვარი ხარისხი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე.** აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოცემული მუხლის დისპოზიციიდან, რომელიც მიუთითებს მძიმე შედეგის შესაძლო და არა უთუოდ გამოწვევაზე. რაც იმთავითვე მოწმობს, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობა და არა მძიმე შედეგის გამომწვევის კონკრეტული საფრთხის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მუხლის დისპოზიცია იქნებოდა ამგვარი: **აფეთქებასაშიშ სანარმოში ან საამქროში სანარმოოტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით შექმნა მძიმე შედეგის განხორციელების საფრთხე ან შესაძლებლობა.** ამდენად,

თვითიმედოვნებით შესაძლებელია კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტებისა და ამ უკანასკნელის განსაკუთრებული გამოვლინების - აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. კლასიკურ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში კი, მათი ბუნებიდან გამომდინარე, თვითიმედოვნება შეუთავსებლად მიგვაჩნია.

## 2. დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში

<sup>124</sup> თ. ქციტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

<sup>125</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, რედ. გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, თბ. 2019, გვ. 791

გაუფრთხილებლობის მეორე სახეს წარმოადგენს დაუდევრობა, რომელიც სსკ-ის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. როგორც ვხედავთ, დაუდევრობის დროს თვითიმედოვნებისაგან და განზრახვისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური ნიშანიც არ გვაქვს სახეზე - კერძოდ, არ გვაქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება. შესაბამისად, გამოირიცხება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინებაც. ამდენად, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ არც ნებელობითი ნიშანია სახეზე - მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილი. „ვინაიდან შეუძლებელია გსურდეს ის, რაც არ იცი“.<sup>126</sup> დაუდევრობა შეიძლება სხვანაირად იწოდოს როგორც გაუცნობიერებელი, ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა“.<sup>127</sup> ვინაიდან დაუდევრობაც, როგორც წესი, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი, ამიტომ საინტერესოა, მისი საფრთხის დელიქტებთან შეთავსების საკითხი.

კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია. კერძოდ, სსკ-ის 229<sup>1</sup> მუხლის (ენერგორესურსით სარგებლობის წესების დარღვევა) დისპოზიციამზე დაყრდნობით განვიხილილეთ შემდეგი შემთხვევა: ელექტრომონტორმა იმოქმედა ძველი ინსტრუქციით, მაშინ როდესაც ახალი წესი იქნა გამოცემული, თუმცა იგი არასაპატიო მიზეზით არ გაეცნო მას, რის გამოც მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ არღვევდა უსაფრთხოების წესებს და, შესაბამისად, არც ითვალისწინებდა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას. მისი ქმედებით ადამიანის სიცოცხლე დადგა კონკრეტული საფრთხის წინაშე. როგორც ვხედავთ, მართლსაწინააღმდეგო შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, ამიტომ დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. „დაუდევრობის დროს სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით კონკრეტული საფრთხის შექმნას სამართლით დაცული ობიექტისათვის, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო ამის გათვალისწინება. ამ მხრივ დაუდევრობის საგნობრივი შინაარსის თვალსაზრისით სრული ანალოგია არსებობს შედეგიან და კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შორის“.<sup>128</sup>

**მეტად საკამათოა** დაუდევრობის საკითხი აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში. ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არც შედეგს გულისხმობს და, შესაბამისად, არც მიზეზობრივ კავშირს, მაშინ გამოდის, რომ პირს გათვალისწინებული არ

<sup>126</sup> თ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157

<sup>127</sup> მ. ტურავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 246

<sup>128</sup> მ. უგრეხელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32

აქვს მის მიერ განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და საშიშროება. ე.ი. დაუდევრობა შესაძლებელია დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი. კერძოდ, ყოველთვის არაა შესაძლებელი, დასაბუთდეს დაუდევრობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტში.

მართებულად აღნიშნავს პროფესორი მინდია უგრეხელიძე, რომ „დაუდევრობის დასაბუთება საკუთრივ ქმედებისადმი შეუძლებელი იქნება, თუ ვერ დასაბუთდა, რომ კანონს შეუძლია დაავალდებულოს მოქალაქე გააცნობიეროს საკუთარი ქმედება“<sup>129</sup>.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დისპოზიცია უმეტესწილად ითვალისწინებს ისეთი საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველ ქმედებებს, რომლებიც, საზოგადოდ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრების წესებისა და ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, ცნობილია სოციუმში მცხოვრები საშუალო ინტელექტის მქონე ნებისმიერი ადამიანისათვის. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია ვამტკიცოთ კიდევ, რომ პირს შეეძლო და ევალეზობდა გაეცნობიერებინა მის მიერ განხორციელებული საშიში თვისებების შემცველი ქმედების ფაქტობრივი და სოციალური მხარე, მისი ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, სახეზე იყოს გამონაკლისი ვითარება. ეს ყოველივე ინდივიდუალურად, ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით უნდა შეფასდეს.

**მაგალითად,** სსკ-ის 230-ე მუხლით დასჯადად გამოცხადებული ბირთვული მასალის ან მონწყობილობის, აგრეთვე ნებისმიერი სახის ხელსაწყო ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას შექმნა, შენახვა, ფლობა და ა.შ. თუკი, საშუალო ინტელექტის მქონე ადამიანი, რომელიც ყოფილი რადიოაქტიური ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინს გარკვეულ ნივთს, მას ევალეზება და შეუძლია კიდევ, რომ გაიაზროს ნაპოვნი ნივთის კავშირი აღნიშნულ ქარხანასთან და, აქედან გამომდინარე, გააცნობიეროს ამ ნივთის შენახვის ან განკარგვის საშიშროება. ობიექტური კრიტერიუმიდან გამომდინარე, ეს ყოველივე ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, თუმცა მხედველობაშია მისაღები სუბიექტური კრიტერიუმიც - ამ პიროვნების ინტელექტისა და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინება. თუ დამტკიცდება, რომ პირს არ შეეძლო წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებიდან გამომდინარე, მაშინ დაუდევრობა გამოირიცხება არა მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, არამედ ზოგადად. თუმცა, ეს გამონაკლისი შემთხვევაა. საზოგადოდ, კი ზემოთ მოყვანილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დაუდევრობით განხორციელება სავსებით შესაძლებელია. ამას გარდა, გვხვდება ბლანკეტური შემადგენლობებიც, სადაც უსაფრთხოების ნორმები მოცემულია სპეციალურ კანონქვემდებარე აქტებსა თუ ინსტრუქციებში, რომელთა ცოდნაც და დაცვაც ევალეზებათ მხოლოდ ამ სფეროში

<sup>129</sup> მ. უგრეხელიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37

დასაქმებულ ადამიანებს, რადგან ამგვარი ინფორმაციის შექმნა არ ხდება საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმ გარემოების დადასტურება, ვგალებოდა და შეეძლო თუ არა პირს მის მიერ განხორციელებული საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველი ქმედების როგორც ფაქტობრივი, აგრეთვე სოციალური მხარის გათვალისწინება, უმეტესწილად, დამოკიდებულია თავად შესაბამისი შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასა და სამართლებრივ ბუნებაზე.

### 3. შუალედური დასკვნა

მიუხედავად იმისა, გაუფრთხილებლობა შედეგიან (დასრულებულ) დელიქტებზე გათვლილი, როგორც ვხედავთ, მათი საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან შეთავსება, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, თუმცა მაინც შესაძლებელია. ამ მხრივ პრობლემას არ ქმნის კონკრეტული საფრთხის დელიქტები, ვინაიდან ისინი, თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ახლოს დგანან შედეგიან დელიქტებთან და, ფაქტობრივად, მათ გარკვეულ სახესხვაობასაც კი წარმოადგენენ. შესაბამისად, კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით. რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, მოცემულ შემთხვევაში საკამათოდაა მიჩნეული გაუფრთხილებლობის ორივე სახით მისი ჩადენის შესაძლებლობა. ეს პრობლემა უკავშირდება სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ფორმალურ ბუნებას და აგრეთვე იმას, შესაძლებელია თუ არა ქმედებისაგან აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნა. თუ ამ უკანასკნელ ვერსიას უარვყოფთ, მაშინ ლოგიკურად წარმოუდგენელია თვითიმედოვნებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელება, ხოლო თუ გავიზიარებთ ქმედებისაგან დროითა და სივრცით საფრთხის გამიჯვნის თეორიას, მაშინ თეორიულად შესაძლებელია თვითიმედოვნების დასაბუთება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში. რაც შეეხება დაუდევრობას, როგორც აღინიშნა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ამ სახით, თუმცა უმეტესწილად, დამოკიდებულია თავად აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დისპოზიციამზე.



## მეოთხე თავი

### არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის საკითხი და კონკრეტული

#### საფრთხის დელიქტები

1. ევენტუალური განზრახვით მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა ქართული და გერმანული დოგმატიკის მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მოკლედ მიმოვიხილოთ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის დელიქტების მიმართების საკითხი, ვინაიდან ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ბოლო დროს განვითარებული მოსაზრების - არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის აღიარების ზეგავლენის შედეგად, ხშირად დანაშაულის მცდელობად კვალიფიცირდება ისეთი შემთხვევები, რომლებიც თავისი არსით წმინდა კონკრეტული საფრთხის დელიქტების გამოვლინებას წარმოადგენენ.

მათ შორის ამგვარი მჭიდრო კავშირი გამომდინარეობს იქიდან, რომ, როგორც აღინიშნა, კონკრეტული საფრთხე გულისხმობს ადამიანის სამართლებრივი სიკეთებისათვის პირდაპირი და უშუალო საშიშროების შექმნას, რაც მცდელობის სტადიად მიიჩნევა, რადგან „მცდელობა სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნა“<sup>130</sup>. „დანაშაულის მცდელობა მომზადებული პირობების აქტიურ გამოყენებას ნიშნავს უშუალოდ დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. იგი ქმნის რეალურ შესაძლებლობას, მიაყენოს ვნება ხელყოფის ობიექტს.“<sup>131</sup> რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, მათი განხილვა მოცემულ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ისინი სამართლით დაცული სიკეთისათვის შორეული საფრთხის შექმნას გულისხმობენ, რაც იმთავითვე მომზადების სტადიას უტოლდება.

„რისთვის არის საჭირო კონკრეტული საფრთხის დელიქტები? საქმე იმაშია, რომ სამართლით დაცულ ინტერესს საფრთხე ექმნება დანაშაულის მცდელობის დროსაც, მაგრამ საფრთხის დელიქტებში, ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის სრული პროპორცია არსებობს, მაშინ როდესაც დანაშაულის მცდელობის დროს ქმედების ობიექტური მხარე ბოლომდე არ არის რეალიზებული. მიჩნეულია, რომ დანაშაულის

<sup>130</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 37

<sup>131</sup> ზაურ მჟავანაძე, ომარ მინდაძე, სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი (ლექციები, კომენტარები), ქუთაისი 2005, გვ. 186

მცდელობის დროს, ქმედების ობიექტური მხარე ბოლომდე არ არის რეალიზებული. დანაშაულის მცდელობის დროს თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის დარღვეულია სუბიექტური მხარის სასარგებლოდ. სუბიექტური მხარე ყოველთვის უფრო მეტია, ობიექტურთან შედარებით, რადგან, მას აკლია შემადგენლობის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორცაა შედეგი, რომელიც, დამნაშავის განზრახვით იყო მოცული. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო საფრთხის დელიქტების და დანაშაულის მცდელობის თანაფარდობის პრობლემა<sup>132</sup>.

ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, მაგრამ დღეის მდგომარეობით ქართველ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროსაც შესაძლებელია მცდელობა.

ამ მოსაზრების მომხრე პროფ. მ. ტურავას შეხედულების თანახმად, ქართველი მეცნიერი იურისტების პოზიციას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობისა და სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით თეორიული დასაბუთება აქვს, მაგრამ, დოგმატიკური და პრაგმატული თვალსაზრისით, უფრო მისაღებია ის პოზიცია, რომელიც კონტინენტური ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართალში არის გაბატონებული. ამ პოზიციის გასამყარებლად ავტორი მიუთითებს, რომ სსკ-ის 117-ე მუხლში აღწერილი ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს განზრახ, ხოლო შედეგისადმი პირს უნდა ჰქონდეს თვითიმედოვნება. პროფესორი მერაბ ტურავა თავის მოსაზრებას ამყარებს იმ არგუმენტითაც, რომ თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც თავის დროზე სარეფორმო კომისიის მიერ პარლამენტს წარედგინა, სპეციალური დათქმა არსებობდა, რომელიც მიუთითებდა, დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას, მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში. მოქმედი კოდექსის მიღების დროს ეს დათქმა ამოღებულ იქნა პროექტის ტექსტიდან. მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მოქმედებით კანონმდებელმა ისტორიული ნება გამოხატა იმაში, რომ მან მცდელობისთვის დასჯადობის ასეთი შეზღუდვა არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რადგან მიიჩნია, რომ მცდელობისთვის საკმარისია პირის ნებელობა მოქმედებისა და შედეგისადმი, რომელიც არსებობს, როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვის დროს<sup>133</sup>.

როგორც ჩანს, ზემოთაღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მოყვანილია ის, რომ ქმედება დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული შეიძლება იყოს განზრახვის ორივე ფორმის დროს, რადგან პირს ორივე შემთხვევაში აქვს ქმედებისა და შედეგის ნებელობა.<sup>134</sup> განსახილველ შემთხვევაში საინტერესოა სწორედ

<sup>132</sup> გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016 წ. გვ. 172  
<sup>133</sup> მ. ტურავა დასახ. ნაშრომი, გვ. 139  
<sup>134</sup> იქვე, გვ. 139

შედეგისადმი ნებელობის განხილვა პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვაში.

პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, ევენტუალური განზრახვის დროს პირის ნებელობა კონკრეტული შედეგისადმი (არაპირდაპირი განზრახვისას პირი გულგრილად ეკიდება ან შეგნებულად უშვებს ერთზე მეტ სავარაუდო ალტერნატიულ შედეგებს), იმდენად სუსტია, რომ შესაძლებელია ითქვას, რომ ფაქტობრივად არც არსებობს. დამნაშავე გვერდით შედეგს გულგრილად ეკიდება ან შეგნებულად უშვებს (ურიგდება მის დადგომას) მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო გვერდითი შედეგები, წარმოადგენს მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებას. მთავარი მიზანი კი საერთოდ არ გამოიხატება შესაძლო გვერდითი შედეგის დადგომის სურვილში. ამგვარი შედეგის დადგომა პირისათვის მეორეხარისხოვანია და მის ცნობიერების სფეროში ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. პირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავე სწორედ კონკრეტული მიზნის მისაღწევად მოქმედებს, რაც იმთავითვე გამოიხატება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილში. ამიტომ პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვაში მოცემული ნებელობის მომენტის სრულად გათანაბრება და მათი ერთ ხარისხში აყვანა გაუმართლებელია. ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის ნებელობითი მომენტი არ არის ისე მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრული, რომ შედეგის არ დადგომის შემთხვევაში შევძლოთ მცდელობის დასაბუთება.

**მეორე,**

რაც შეეხება თავის დროზე სისხლის სამართლის კოდექსიდან იმ დათქმის ამოღებას, რომელიც მცდელობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ითვალისწინებდა. აღნიშნული დათქმის ამოღება არ უნდა მივიჩნიოთ კანონმდებლის ისტორიული ნების გამოხატულებად არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის თაობაზე. რადგან დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული არ არის მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკანონმდებლო ცნებები (თუ რას გულისხმობს მართლწინააღმდეგობა, რა არის ბრალი), თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მართლწინააღმდეგობა და ბრალი სისხლის სამართალში კანონმდებლის მიერ უგულებელყოფილია.

**მესამე,** სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: როდესაც დამნაშავე განზრახ აგდებს იმ პირს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა ზომები მიიღოს თავის დასაცავად, ან განზრახ არ ეხმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ, დასაცავ, პირს იგი უმეტესწილად სწორედ ან ინდიფერენტულია მოსალოდნელი შედეგის მიმართ ან კიდევ შეგნებულად ურიგდება მის დადგომას. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია, რომ თვითიმედოვნებაც გააჩნდეს შედეგის მიმართ. ეს უკანასკნელი სწორედ გამონაკლისს და არა ყველაზე მთავარ შემთხვევად (როგორც ამას ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრე მეცნიერები გვთავაზობენ) უნდა იქნეს მიჩნეული ზემოთაღნიშნული დანაშაულების შემადგენლობების ხასიათიდან და მათი

**განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე.** „უმეტესწილად საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ვინც შესაძლო (მოსალოდნელი) მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო იშვიათ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით (კერძოდ, თვითიმედოვნებით)“.<sup>135</sup>

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია უფრო თამამი მოსაზრებაც, რომლის თანახმად, „შეუძლებელია დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი (იგულისხმება თვითიმედოვნება - შეგნებული გაუფრთხილებლობა ხაზგასმა ჩემია გ.გ) დამოკიდებულება ჰქონდეს მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა დამნაშავე სხვისი სიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით მოქმედებს“.<sup>136</sup>

პროფესორი მ. ტურავა სვამს ასეთ კითხვას, კერძოდ, თუ შედეგის დადგომის დროს ქმედება ევენტუალურ განზრახ მკვლელობად კვალიფიცირდება, მაშინ ობიექტურ შემადგენლობას მინუს შედეგი რატომ გადააქცევს მას სხვა უმართლობად?

აღნიშნულ კითხვას უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი: ევენტუალური განზრახვის ცნება (ისევე როგორც პირდაპირი განზრახვისა), შედეგიან ესე იგი დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. შესაბამისად, როდესაც პირის მიერ განხორციელებული ქმედებით დადგება შესაძლო გვერდითი შედეგი, ევენტუალური განზრახვის ყველა საკანონმდებლო ნიშანი სრულადაა განხორციელებული რაც, შესაბამისად, აისახება კონკრეტული მუხლის მაგალითად, მკვლელობის დასრულებულ შემადგენლობაში. ხოლო მაშინ, როდესაც სახეზე არ გვაქვს კონკრეტული შედეგი, ევენტუალური განზრახვა არაა მოცემული სრული სახით ე.ი. ამ დროს არ ვიცით, რომელ საუარაუდო, ჯერ არარსებულ, ალტერნატიულ შედეგებთან დავადგინოთ პირის ნებელობითი დამოკიდებულება.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ნებელობითი მომენტი არსებობს, ზოგადად, რამდენიმე შესაძლო შედეგთან მიმართებაში, თუმცა, ფაქტობრივად, იგი სრული სახით არ არის რეალიზებული ამ უკანასკნელის მატერიალური სახით არარსებობის გამო. მაგალითად, შეუძლებელია, ადამიანს მკვლელობის მცდელობა დაუსაბუთო იმ დროს, როდესაც თანაბრად არსებობდა სხვა შედეგის მაგალითად, ჯანმრთელობის რომელიმე ხარისხის დაზიანების დადგომის შესაძლებლობა. ევენტუალური განზრახვის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, დამდგარ შედეგს აქვს არსებითი მნიშვნელობა და სწორედ მასზეა დამოკიდებული ჩადენილი ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის ბედი.

„დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება დამნაშავეს მაშინ აქვს მიღებული, როცა იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს არ აქვს გადანყვეტილი იმ შედეგის გამოწვევა, რომლის

<sup>135</sup> ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007, N 2/3, გვ. 155

<sup>136</sup> თ. ცქიტივილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 362

დადგომასთან დაკავშირებით არც სურვილი აქვს და არც მისი დადგომის გარდუვალობას ითვალისწინებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს სიამოვნებას უფრო ჰგვრის შედეგის თავიდან აცილება“<sup>137</sup>. „როცა საფრთხის განზრახ შექმნა შედეგის მიმართ არაპირდაპირი (პირობით) განზრახვასთანაა დაკავშირებული, ამ შემთხვევაში, თუ შედეგი არ განხორციელდა, ადამიანი პასუხს აგებს იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას კონკრეტული საფრთხის განზრახ შექმნისათვის ითვალისწინებს. მაგრამ ზიანის ნამდვილად დადგომის შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს იმ მუხლით, რომელიც განზრახი დაზიანების შესაბამის დელიქტს ითვალისწინებს“<sup>138</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაუფრთხილებელი ქმედების დასჯადობა ყოველთვის დამოკიდებულია დისპოზიციაში გათვალისწინებული შედეგის დადგომაზე. კერძოდ, თუ სახეზე არ გვაქვს კონკრეტული შედეგი, გაუფრთხილებელი ქმედება სისხლის სამართლებრივი წესით დასჯას, როგორც წესი, არ ექვემდებარება (გამონაკლისია სსკ 241-ე და 242-ე მუხლები). ამ მხრივ არაპირდაპირი განზრახვა და გაუფრთხილებლობა ჰგვანან ერთმანეთს.

„ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით მცდელობა რომ არ შეიძლება, ამან აიძულა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127-ე და 128-ე მუხლები. არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ კანონმდებელი ამ მუხლებს *delictum sui generis* სახით კოდექსში აღარ შემოიტანდა და საკითხიც ძალიან იოლად გადაწყდებოდა, ქმედება დაკვალიფიცირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობით. ერთი სიტყვით, 127-ე და 128-ე მუხლები აუხსენ იმ ხარვეზს, რასაც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის“<sup>139</sup>.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება მიზანმიმართულ საქმიანობას წარმოადგენს, ამდენად მისი მისწრაფება ყოველთვის მიმართულია რაიმე შედეგისაკენ, რომლის მიღწევა მის დაკმაყოფილებას იწვევს. ე.ი. ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმისათვის ემზადებოდეს ან იმას ცდილობდეს, რაც მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ამგვარი საქმიანობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება.<sup>140</sup>

ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობისადმი მხარდაჭერა ცალსახად განიცდის გერმანული სისხლის სამართლის

<sup>137</sup> თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2014, N 4 (43), გვ. 107

<sup>138</sup> თ. წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006, გვ. 208

<sup>139</sup> თ. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი (მეორე შეესებული გამოცემა), თბ. 2008, გვ. 163

<sup>140</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 169.

ზეგავლენას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, დღესდღეობით გერმანულ დოგმატიკაშიც აღიარებულია მცდელობა განზრახვის ორივე სახით. აღნიშნული ფაქტი არცაა გასაკვირი, რადგან „გერმანიის მოქმედ სსკ-ის 22-ე პარაგრაფში კანონმდებელმა უარი თქვა ტერმინის „გამიზვნა“ შეტანაზე, რითაც ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფისგან განსხვავებით, სსკ-ის 22-ე პარაგრაფში განზრახვის ორივე სახით მცდელობის შესაძლებლობა დაუშვა.“<sup>141</sup>

მაშასადამე, როგორც ჩანს, გერმანიის სსკ-ის ძველი რედაქციის 43-ე პარაგრაფში მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციაში შეტანილი იყო ტერმინი „გამიზვნა“, რის გამოც იმდროინდელი გერმანელი ავტორები სწორედ აღნიშნულ ტერმინზე დაყრდნობით შეუძლებლად მიიჩნევდნენ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას. კერძოდ, „მე -19 საუკუნეში მოღვაწე სისხლის სამართლის მეცნიერი ვებტერი ძალზედ მოკლე არგუმენტს იძლეოდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასასაბუთებლად. იგი მიუთითებდა გერმანიის ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფზე, სადაც მცდელობის ცნება იყო განმარტებული და ამბობდა, რომ ვინაიდან კანონმდებელი მცდელობის ცნებაში საუბრობს გამიზნულ დანაშაულზე და გადაცდომაზე, ამიტომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია. აღნიშნული არგუმენტის მოშველიებით ასაბუთებდა გერმანელი მეცნიერი ბაუერიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას“.<sup>142</sup>

როგორც აღინიშნა, ტერმინი „გამიზვნა“ იმდენად არსებითად აბრკოლებდა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის დასაბუთების შესაძლებლობას გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „კანონმდებელმა სიტყვა „გამიზვნა“ შეგნებულად აღარ ჩაწერა გერმანიის მოქმედ სსკ-ის 22-ე პარაგრაფში,“<sup>143</sup> (მცდელობაზე მსჯელობის გავრძელება ჩემია - გ.გ) რადგან მცდელობის საკანონმდებლო დეფინიცია, ასე ვთქვათ, „მორგებოდა“ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის ინსტიტუტს. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ გერმანიის სსკ-ში მოცემული მცდელობის საკანონმდებლო განმარტება ხელს აღარ უშლის არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის საკითხს, გერმანელი მეცნიერები ყველა სახის დანაშაულზე მაინც არ აღიარებენ მსგავს მიდგომას. კერძოდ, „მეცნიერები მიუთითებდნენ იმაზე, რომ თუ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დისპოზიცია სუბიექტურ შემადგენლობას აღწერს ისეთი სიტყვებით, როგორიც არის მაგალითად გამიზვნა, მაშინ ევენტუალური განზრახვის შესაბამისობა ქმედების შემადგენლობასთან შეუძლებელი იქნება.“<sup>144</sup>

ეს ფაქტი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ტერმინ „გამიზვნის“ მნიშვნელობაზე. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომაა აღიარებული გერმანულ სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის

<sup>141</sup> ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), თბ. 2014, გვ. 176

<sup>142</sup> ლ. ხარანაულის, დასახ. ნაშრომი, გვ. 174-175

<sup>143</sup> ლ. ხარანაულის დასახ. ნაშრომი, გვ. 176

<sup>144</sup> ლ. ხარანაულის დასახ. ნაშრომი, გვ. 178

შესაძლებლობა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

ამგვარად, საინტერესოა, როგორაა მონესრიგებული ეს საკითხი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ქართული სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ფრაზაზე „უშუალოდ იყო მიმართული“, ეს უკანასკნელი ცალსახად მიგვანიშნებს დამნაშავის მიზანზე, კერძოდ, იმაზე რომ ბოროტმოქმედს გამიზნული ჰქონდა დანაშაულის ჩადენა. „ტერმინი - გამიზნული განისაზღვრება როგორც მიზანში ამოღებული.“<sup>145</sup> ესე იგი როდესაც დამნაშავეს მიზანში ჰყავს ამოღებული მსხვერპლი, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება უშუალოდაა მიმართული სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის წინააღმდეგ.

ქმედების გამიზნის დროს ადამიანი უშუალოდ მიმართავს თავის შესაძლებლობებს მიზნის მისაღწევად. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიტყვა „გამიზნა“ და ფრაზა „უშუალოდ მიმართული“ ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია და ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მართალია, ქართულ სსკ-ში მცდელობის განმარტებისას უშუალოდ არ გვხვდება სიტყვა „გამიზნა“ ან „გამიზნული“, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისთავად, ლოგიკურად გამომდინარეობს მცდელობის საკანონმდებლო მოცემულობის კონტექსტიდან.

ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სიტყვები: „უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, განსაზღვრავს ქმედების არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ შემადგენლობას“,<sup>146</sup> აქ სიტყვა „უშუალოდ“ ნამდვილად გამოხატავს ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო „მიმართული“ კი ქმედების მიზანს გამოხატავს და ხაზს უსვამს დამნაშავის იმ მიზანზე, რომლის მისაღწევადაც უშუალოდ მიმართა ქმედება. პირველხარისხოვანია სწორედ ბოროტმოქმედის მიზანწრაფვა, რომელიც არსებითად განისაზღვრება სწორედ დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედებით. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ქართული სსკ-ი მცდელობას განმარტავს როგორც გამიზნულ ქმედებას, ისევე როგორც ამას განმარტავდა ადრე გერმანიის ძველი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფი, რის გამოც, თავის დროზე, გერმანელი მეცნიერები შეუძლებლად მიიჩნევდნენ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას. ეს გახლავთ კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის აღიარების შესაძლებლობას.

„სისხლის სამართლის პრაქტიკოსის ბაუერის აზრით, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა ქვეყანაში ერთიანი კანონიერების

<sup>145</sup> განმარტებითი ლექსიკონი, www. Ena.Ge, ბოლო ნახვის თარიღი: 12.05.2019 წ

<sup>146</sup> ლ. ხარანაულის დასახ. ნაშრომი, გვ. 180

განხორციელებას უშლის ხელს. სისხლის სამართლის პრაქტიკის გამოკვლევის შემდეგ კი იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკანონმდებლო და თეორიული აღიარების მიუხედავად, გერმანიის უზენაესი სასამართლო ამ დოგმატიკურ ინსტიტუტს პრაქტიკაში არ იყენებს და ხშირ შემთხვევაში ქმედებას ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობად კი არა, საფრთხის დელიქტის მიხედვით აკვალიფიცირებს, თუ სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისი საფრთხის დელიქტისათვის საკმარის სანქციას ითვალისწინებს.<sup>147</sup> რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც უარყოფენ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას და დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებლად მიიჩნევენ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილის არსებობას.<sup>148</sup>

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში კი, გერმანიისაგან განსხვავებით, ნათლადაა მოცემული კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტები და, შესაბამისად, არანაირი საჭიროება არ არსებობს ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირებისა.

## 2. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოლო დრომდე ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში გაბატონებული იყო მოსაზრება არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის თაობაზე, რის გამოც სასამართლო პრაქტიკაც ამ გზით ვითარდებოდა. აღნიშნული პოზიციის მახარდამჭერი მეცნიერები თავიანთი შეხედულების გასამყარებლად მიუთითებენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებზე, მაგალითად, 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ე.ი. სხეულის დაზიანება რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. მათი აზრით, „ეს იმას ნიშნავს, რომ პირი მეორეს უზიანებს სხეულს იმგვარად, რომ დაზიანების მომენტში ქმნის ადამიანის სიკვდილის საშიშროებას და ეს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს. ამდენად, სიკვდილის მიმართ იგი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. შემდგომ სვამენ ასეთ კითხვას „თუ არაპირდაპირი განზრახვის დროს შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა, მაშ რა საჭიროა სსკ-ის 117-ე მუხლის შემადგენლობაში ეს ფორმულირება? ასეთი ქმედება თუ - სიკვდილი არ დადგა (ეს ხაზგასმა ჩემია - გ.გ.) უნდა დაკვალიფიცირდეს არა მკვლელობის მცდელობით, არამედ

<sup>147</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრახი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 76

<sup>148</sup> იხ. თ. ცქიტიშვილის სტატია: დანაშაულის მცდელობისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება სუბიექტური მხარის მიხედვით, ოთარ გამყრელიძის 80 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კრებულში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2016, გვ. 302



სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>149</sup>

საქართველოს

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული მსჯელობისაგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომა განავითარა ერთ-ერთ საქმეში სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილისა და არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობის მუხლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმის ფაბულა გახლდათ შემდეგი: 2007 წლის 27 ივნისს პეტრემ სიტყვიერი შელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით ზედიზედ ორჯერ დაარტყა დანა პავლეს კისრის არეში. რის შემდგომაც, დაჭრილი პავლე ცდილობდა გაქცევას, თუმცა პეტრეს ხელით ეჭირა იგი და არ უშვებდა მანამდე, სანამ საშველად არ მივიდნენ სხვა პირები. ამის შემდეგ პეტრე მიიმალა, ისე რომ არ დაინტერესებულა დაჭრილი პავლეს ბედით.

მიუხედავად იმისა, რომ პავლეს სხეულზე მიყენებული ჰქონდა სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები, იგი გადაურჩა სიკვდილს. საქმის მასალებით დადგენილია და თავად დაზარალებული პავლეს ჩვენებითაც დადასტურებულია, რომ პეტრეს არ სურდა მისი მოკვლა. თავად ბრალდებული პეტრეც უთითებდა, რომ იგი მხოლოდ შურისძიების მოტივით მოქმედებდა და მას პავლესთვის მხოლოდ ტკივილის მიყენება სურდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არაფერი უშლიდა ხელს, რომ ბოლომდე მიეყვანა საქმე და დანის მრავალჯერადი დარტყმებით სიცოცხლეს გამოესალმებინა პავლე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და პეტრეს ქმედება დააკვალიფიცირა არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობად. დაცვის მხარემ, რომელიც ქმედების დაკვალიფიცირებას ითხოვდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამ უკანასკნელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენი. რის გამოც საქმე საკასაციო წესით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი.

ამდენად,

საინტერესოა, საკასაციო პალატის არგუმენტაცია, კერძოდ: „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია სარწმუნოდ არ დასტურდება დაზარალებულის მოკვლის მიზანი, მაგრამ ვინაიდან მძიმე დაზიანება მიყენებულია სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო ადგილზე, იგი ითვალისწინებდა შესაძლო სასიკვდილო შედეგსაც.

პალატის აზრით, მსჯავრდებულს

არ გააჩნდა დაზარალებულის სიკვდილის სურვილი და მიზანი, არამედ, მას სურდა მხოლოდ ტკივილის მიყენება, მაგრამ ამ დროს მან დაზარალებულს სრულიად შეგნებულად მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოს მიდამოში, რა დროსაც იგი ითვალისწინებდა სიკვდილის

<sup>149</sup> ნონა თოდუა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი, თინათინ წერეთლის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული - სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თბ. 2006, გვ. 101

შესაძლო დადგომას, თუმცა ასეთი შედეგის მიღწევა მის მიზანს არ წარმოადგენდა“.<sup>150</sup>

მართებულად არ უნდა

ჩათვალოს საკასაციო პალატის მსჯელობა განსახილველი ქმედების ირგვლივ, ვინაიდან მოცემული ქმედება წარმოადგენს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის კლასიკურ შემთხვევას. კერძოდ, სსკ-ის 117-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადა გამოცხადებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. ესე იგი აღნიშნული დელიქტი ადამიანის სიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას გულისმობს. ამ დროს დამნაშავეს ერთადერთი მიზანია პირისათვის იმგვარი ფიზიკური ტკივილის მიყენება, რომ არად ავდებს შემდგომი მოვლენების ფატალურად განვითარების რეალურ შესაძლებლობას. მაშასადამე, იგი შესაძლო გვერდითი შედეგის - სიკვდილის მიმართ მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ერთის მხრივ აღიარებს, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულის მოკვლის სურვილი და მიზანი არ ჰქონდა, თუმცა მეორეს მხრივ დამნაშავეს ქმედებას აკვალიფიცირებს იმის მცდელობად, რისკენაც ეს უკანასკნელი საერთოდ არ მისწრაფვოდა. ფაქტობრივად, ასეთი დამაბნეველი მოცემულობა მივიღეთ: საკასაციო პალატამ ერთხმად აღიარა, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულის მოკვლის განზრახვა არ ჰქონდა, თუმცა იგი საბოლოოდ მაინც დაადანაშაულა დაზარალებულის მკვლელობის მცდელობისათვის. ცალსახაა, რომ საკასაციო პალატის მიერ განვითარებული მსჯელობა და საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგოა. სხეულზე სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მიყენება არ უნდა წარმოადგენდეს ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობის აღიარების ერთადერთ, უპირობო საფუძველს, ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ფაქტობრივი გარმოებებით დადგენილი სხვა ნიშნებიც, კერძოდ, დამნაშავეს მიზანი, მისი ქმედების ხასიათი, რამდენად ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის შესაძლებლობა და რა მოიმოქმედა მან.

შესაძლებელია, შეგვხვდეს ისეთი ვითარებაც, როდესაც დამნაშავემ დაზარალებულისათვის უმნიშვნელო ზიანის მიყენება შეძლო, თუმცა მისი მოკვლის განზრახვით მოქმედებდა. შესაბამისად, ქმედების სრულყოფილად შესაფასებლად არაა საკმარისი მხოლოდ დაზარალებულისათვის რეალურად მიყენებული ზიანი, არამედ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ყველა ფაქტობრივი გარმოების კუმულაციურად მხედველობაში მიღება და მათი ლოგიკური გაანალიზება. მაშასადამე, ზემოაღნიშნული შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა მკვლელობის მცდელობის მუხლით (19;108), არამედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით (სსკ-ის 117- ის პირველი ნაწილი).

ბოლო

<sup>150</sup> 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება N 745- აპ - 08 საქმეზე, კრებულში: საქართველოს უზენაეს სასამართლოთა გადაწყვეტილებები, თბ. 2008, N 8, გვ. 40-45

ნლებში რადიკალურად შეიცვალა უზენაესი სასამართლოს მიდგომა ზემოთ განხილული შემთხვევების მსგავს საქმეებთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი საქმის ფაბულა მდგომარეობდა შემდეგში: 2015 წლის 11 მარტს, პავლე შემთხვევით შეხვდა პეტრეს და მათ შორის დაწყებული საუბარი გადაიზარდა ურთიერთშელაპარაკებაში, რის ნიადაგზეც პავლემ ხელ-ფეხის გამოყენებით დაუწყო პეტრეს ცემა, მან რამდენჯერმე დანაც მოიქნია და დაარტყა პეტრეს. რის შედეგადაც პეტრემ მიიღო სხვადასხვა ხარისხის: მსუბუქი, ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებები. როგორც აღინიშნა, საქმის მასალებით დადგინდა, რომ პავლემ ჩხუბის დროს მოიშველია დანა, რის შემდეგაც მალევე გადაადგო და კვლავ ხელ-ფეხით გააგრძელა დაზარალებულის ცემა.

ამასთან დადგენილია, რომ პავლემ დაზარალებულის დასაზიანებლად გამოიყენა არა დანის მჭრელი პირი, არამედ - მხოლოდ მისი ტარი. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა მოცემული ქმედება დააკვალიფიცირეს განზრახ მკვლელობის მცდელობად (19;108-ე მუხლი). უზენაესმა სასამართლომ კი შეცვალა კვალიფიკაცია და პავლეს ქმედება განზრახ მკვლელობის მუხლიდან გადააკვალიფიცირა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლზე, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით.

მან აღნიშნა, რომ „განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმიწევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის - განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს ამ ორ დანაშაულს ერთმანეთისაგან.“<sup>151</sup>

მაშასადამე, როგორც გამოჩნდა, ზემოაღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლომ ამ ორი დანაშაულის გამიჯვნისას ყურადღება გაამახვილა არა დამდგარ შედეგზე, არამედ სწორედ დამნაშავის სურვილსა და მიზანზე. ეს უკანასკნელი კი დაადგინა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ლოგიკური გაანალიზების შედეგად. კერძოდ, მხედველობაში მიიღო დამნაშავის ქმედების ხასიათი დანაშაულის ჩადენისას და მის შემდეგ, დანის ყუის მხრიდან (და არა მჭრელი პირით) ჩარტყმის ფაქტი, მონმეთა ჩვენებები და ა.შ.

მართებულად აღნიშნავს საკასაციო პალატა შემდეგს: „მისთვის არაა სარწმუნო, რომ მკვლელობის განზრახვით შეპყრობილ მსჯავრდებულს წაქცეული და უკვე ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიღებული პეტრესათვის მხოლოდ ჯანმრთელობის მსუბუქი ორი დაზიანების მიყენებადა მოეხერხებინა“.<sup>152</sup> საკასაციო პალატა მართებულად მიუთითებს, რომ „ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის როგორცაა განზრახ მკვლელობა, აუცილებელია, რომ დანაშაულის

<sup>151</sup> 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 227 აპ-16 კრებულში: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სისხლის სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილები, თბ. 2016, N 10-12, გვ.133

<sup>152</sup> 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 227 აპ-16 კრებულში: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სისხლის სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილები, თბ. 2016, N 10-12, გვ.135

სუბიექტი მოქმედებდეს განზრახვით, ჩაიღინოს მკვლელობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მიზანს, მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს.“<sup>153</sup>

ამდენად, უზენაესმა სასამართლომ მოცემულ განჩინებაში მკაფიოდ გაუსვა ხაზი დამნაშავის მოქმედების განზრახვას, მის სურვილს, მიზანს და განმარტა, რომ ქმედების სამართლებრივად სწორად კვალიფიკაციისათვის, პირველ რიგში, უტყუარად უნდა დადგინდეს ბოროტმოქმედის მთავარი მიზანი, კერძოდ, ის რისთვისაც იგი ახორციელებს უმართლობას. განსახილველ საქმეში კი მსჯავრდებულს ვერ დაუდგინდა დაზარალებულის მოკვლის მიზანი, მსჯავრდებულს არ სურდა დაზარალებულის სიკვდილი, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი ამ უკანასკნელისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენებისა, რომ გულგრილად ეკიდებოდა ფატალური შედეგის დადგომას. ე.ი. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით.

სასკასაციო პალატის მიერ ქმედების სსკ-ის 19: 108-ე მუხლიდან 117-ე მუხლზე გადმოკვალიფიცირებამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) მისი ქმედების მთავარი მიზნის დამტკიცება უნდა მოხდეს არა ჰიპოთეტურად, არამედ საქმეში არსებული უტყუარი და ურთიერთმთავსებადი მტკიცებულებების განხილვა-გაანალიზების შედეგად, ხოლო ამის შემდეგაც თუ ვერ დგინდება, ამ შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვი უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ბოლო დროს ანალოგიური მიდგომა აჩვენა საკასაციო სასამართლომ სხვა საქმეებშიც, სადაც მიღებული გადანყვეტილებით ცალსახად უარყოფილია არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი.<sup>154</sup> ყველაზე მთავარი ისაა, რომ უზენაესმა სასამართლომ მართებულად შეცვალა გარკვეული წლების წინ მის მიერვე ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის აღიარების პრაქტიკა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა იტალიაშიც, როდესაც „1983 წელს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა აღიარა უზენაესმა სასამართლომ, თუმცა 1992 წელს მიღებული იქნა სხვა გადანყვეტილება, რომელმაც უარყო ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა.“

<sup>155</sup> „ამიტომაც სასამართლო შეცდომების თავიდან აცილების მიზნით პრაქტიკაში ძირითადად დაცული უნდა იქნეს პრინციპი - არაპირდაპირი განზრახვის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ფაქტიურად განხორციელებული შედეგის მიხედვით.“<sup>156</sup> ვიმედოვნებთ, რომ ქვედა

<sup>153</sup> 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 227 აპ-16 კრებულში: უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებები, სისხლის სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილები, თბ. 2016, N 10-12, გვ.137

<sup>154</sup> იხ. N 33 აპ-18 განჩინება, 21.05.2018; N 64 აპ-18 განჩინება, 29.06.2018.

<sup>155</sup> კახა ნიქარიშვილი, ევენტუალური განზრახვა თანამდევროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, თბ. 2008, N 3, გვ. 40

<sup>156</sup> თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ. 2007, გვ. 226

ინსტანციის სასამართლოები გაიზიარებენ ზემოთ განხილული განჩინებით საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, რაც მკვეთრად შეამცირებს ამგვარ საქმეებზე არასწორი კვალიფიკაციების განსაზღვრის რისკს.

### 3. შუალედური დასკვნა

აღნიშნული საკითხის სწორ გადანყვეტას უდიდესი მიზნელობა აქვს, როგორც თეორიული აგერეთვე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. როგორც არაერთხელ აღინიშნა, პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისას დამნაშავე დანაშაულებრივი შედეგის დადგომისაკენ მიისწრაფვის მთელი თავისი ძალებით, ძალისხმევას არ იშურებს, რათა იხილოს მისთვის სასურველი კონკრეტული შედეგი, რაც საბოლოოდ მასში იწვევს კმაყოფილების გრძობას. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირისათვის კი დამდგარი შედეგი არის მისთვის სასურველი მთავარი მიზნისათვის მიღწევის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც ეს უკანასკნელი არ განხორციელდება. შესაბამისად, ორივე ხარისხის განზრახვის არსებობის დროს, შედეგის დაუდგომლობის შემთხვევაში, სავსებით გამართლებულია მცდელობაზე საუბარი. თუმცა ამის მიუხედავად, მათ შორისაც ბრალის ხარისხი განსხვავებულია, კერძოდ, მომეტებულად გასაკიცხაობას ექვემდებარება პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედი დამნაშავე. არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, საერთოდ გამოირიცხება შედეგის დადგომის სურვილი, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან კი განსხვავდება იმით, რომ ევენტუალური განზრახვისას არ არსებობს შედეგის დადგომის გარდაუვალობის მომენტი. შესაბამისად, დაუშვებელია ამ ორი, ერთმანეთისაგან თავისი არსით რადიკალურად განსხვავებული, გაზრახვის სახის გაიგივება და მათი ერთ ხარისხში აყვანა. ასეთი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპსაც რადგან, გაუმართლებელია, ერთმანეთს გაუტოლდეს პირდაპირი და ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, მისი განმახორციელებლის ბრალის ხარისხი და, საბოლოოდ, ორივე მათგანის ქმედება შეფასდეს მცდელობად. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის დანერგვით, ფაქტობრივად, უარს ვიტყვით სსკ-ში არსებული მრავალი კონკრეტული საფრთხის დელიქტის იმ მიზნით გამოყენებაზე, რისთვისაც ისინი შემოიტანა კანონმდებელმა. რაც საბოლოოდ ჯამში, დიდ პრობლემებს შექმნის სასამართლო პრაქტიკაშიც, კერძოდ, გაუმართლებლად და შეცდომით მოხდება იმ დანაშაულთა მცდელობის მუხლით დაკვალიფიკირება, რომლებიც თავიანთი არსით მიეკუთვნებიან კონკრეტული საფრთხის დელიქტებს. სამართლებრივი პრაქტიკის გარდა, ეს უდიდეს დარტყმას მიაყენებს ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებებს, რადგან დანაშაულის მცდელობა, უმრავლეს შემთხვევაში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველთვის უფრო მძიმედ

ფასდება და სანქციაც მკაცრია, კონკრეტული საფრთხის დელიქტებთან შედარებით (ეს უფრო ცხადად გამოჩნდება მაშინ, როდესაც ერთმანეთს შევადარებთ განზრახ მკვლელობის მცდელობასა და 127-ე მუხლს).

აქედან გამომდინარე, ადამიანის სამართლებრივი ბედის განსაზღვრისას დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და, რაც მთავარია, მას უნდა მიეცეს სწორი იურიდიული შეფასება, რათა თავიდან იქნეს აცილებული არსებითად არასწორი კვალიფიკაციების მინიჭების პრაქტიკის ჩამოყალიბება.

## დასკვნა

ნაშრომის პირველ თავში დასმული საკითხების გამოკვლევის შედეგად ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას: პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხე სისხლის სამართალში გულისხმობს ისეთ ობიექტურ მდგომარეობას, როდესაც სახეზეა საზოგადოებრივად საშიში, ზიანის შემცველი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ე.ი. ტერმინი საფრთხე მოიცავს იმ ტიპობრივ, ლოგიკურ ქმედებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელების დაწყებისთანავე საშუალო, ობიექტური შემფასებლის გონებაში მავნე შედეგის დადგომის ალბათობა იზრდება. მაშასადამე, საფრთხე გამოხატავს ისეთ ქმედებას, რომელიც, საზოგადოდ, საზოგადოებაში დამკვირდებული წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, აღიქმება საშიშად. ლოგიკურადაც რომ მიუდგეთ, წარმოუდგენელია, საფრთხის შემცველი ქმედება, თავისი საშიში თვისებებიდან გამომდინარე, შეუმჩნეველი იყოს გარეშე ობიექტური დამკვირვებლისათვის. აქედან გამომდინარე, მიუღებელია საფრთხის სუბიექტური თეორია, რომელიც საფრთხის არსებობა-არარსებობის ფაქტს ადგენს მხოლოდ დაზარალებულის პირადი შეხედულებების საფუძველზე. ასეთი მიდგომა ცალსახად დაუშვებელია, ვინაიდან თითოეული ინდივიდი განსხვავებულია, თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად აფასებს

საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ მოვლენებს და ,შესაბამისად, არაერთგვაროვანი დასკვნებიც გამოაქვთ მათგან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თეორია ვერ დაგვეხმარება ჭეშმარიტების დასადგენად, რადგან არსებობს საშიშროება, რომ ერთი და იგივე ქმედება ერთ შემთხვევაში შეფასდეს საფრთხედ, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და თანასწორობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას მაღალი რისკის ქვეშ აყენებს.

რაც

შეეხება საფრთხის ობიექტურ თეორიას, იგი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ქმედების ობიექტურ მხარეზე, მისი ნიშან-თვისებების განსაზღვრაზე და ამის საფუძველზე მისი, როგორც საფრთხის შემცველი ქმედების, დადგენაზე. თუმცა, ჩემი აზრით, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ვინაიდან სწორედ ამაზეა დამოკიდებული ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის ბედი, საფრთხის შეფასება უნდა მოხდეს კუმულაციურად, სუბიექტური და ობიექტური ნიშნების ლოგიკური ერთიერთშეჯერებისა და გაანალიზების შედეგად. კერძოდ, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ობიექტურად განხორციელებული მხრიდან, აგრეთვე გარეშე ობიექტური დაკვირვებლის თვალსაწიერიდან გამომდინარეც. ამგვარად, უფრო გაიზრდება სამართლებრივი შეცდომების გამორიცხვის შანსი. პირველ თავში აგრეთვე განხილულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, რომლებიც დამთავრებულად ითვლებიან მათი განხორციელების მომენტიდან. ე.ი. განხორციელებული ქმედება იმთავითვე საფრთხის შემცველია. ამდენად, მოსამართლეს უნევს მხოლოდ ქმედების დადგენის ფაქტი, რაც იმთავითვე უდრის საფრთხის არსებობის ფაქტის დადგენასაც, რის გამოც დამატებით მიზეზობრივი კავშირის დადგენა აღარ არის აუცილებელი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში საფრთხე ქმედების არსებითი შემადგენელი ნაწილია, ფაქტობრივად, ქმედება მთლიანად საფრთხითაა მოცული, ამიტომ ქმედებისა და საფრთხის დროისა და სივრცის თვალსაზრისით განცალკევება დაუშვებელია, რადგან ისინი ერთ ლოგიკურ, განუყოფელ მთლიანობად წარმოსდგებიან. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კი - პირიქით, გარკვეული წყვეტა არსებობს ქმედების განხორციელებასა და საფრთხის დადგომას შორის, ვინაიდან საფრთხე ქმედების განუყოფელ ნაწილს არ წამოადგენს. სწორედ ქმედების განხორციელების შემდგომ იქმნება კონკრეტული საფრთხე, როგორც გარესამყაროში გამოწვეული სახე-ცვლილება, რის გამოც იგი უთანაბრდება შედეგს. თუმცა, არ წარმოადგენს შედეგს კლასიკური გაგებით, იგი ასე ვთქვათ, მის სახესხვაობას წარმოადგენს. კონკრეტული საფრთხის დელიქტები მიიჩნევა შედეგიან - რეზულტატურ შემადგენლობებად, ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედება და შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. აგრეთვე, აღსანიშნავია, ე.წ. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი წარმოადგენენ

კონკრეტული საფრთხის დელიქტების განსაკუთრებულ გამოვლინებას, ვინაიდან აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და იმ მოცემულობას შორის, რომელსაც კონკრეტული საფრთხედ ქცევის ტენდენცია გააჩნია. ე.ი. იმ ვითარებას შორის რომელსაც შეეძლო მაგნე შედეგის გამოწვევა. განსახილველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. პოტენციურ მიზეზობრიობასთან, ამიტომ ზემოაღნიშნული დელიქტები მიჩნეულ უნდა იქნეს არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებად.

ნაშრომის მეორე თავში კი უშუალოდ განხილულია განზრახვის მიმართების საკითხი საფრთხის დელიქტებთან. მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად არ არის საკამათო პირდაპირი განზრახვით საფრთხის დელიქტების, როგორც კონკრეტულის, აგრეთვე აბსტრაქტულის განხორციელების ფაქტი. ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემთხვევაში შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, აბსტრაქტულის დროს კი - განზრახვის სამივე ელემენტი მიმართულია საკუთრივ ქმედებისადმი. აქ უფრო მეტად საკამათოა სწორედ არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელების საკითხი. კერძოდ, კამათს იწვევს შემდეგი გარემოება ანუ რამდენად შესაძლებელია, რომ პირი ერთის მხრივ აცნობიერებდეს დისპოზიციაში აღწერილი ქმედების ნიშნებს და, ამავდროულად, არ სურდეს საფრთხის შექმნა? ჩემი აზრით, აღნიშნული ფაქტობრივად შეუძლებელია სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ბუნების გათვალისწინებით, ვინაიდან მასში ქმედება თავისთავად შერწყმულია საფრთხესთან. ამიტომ, თუ დამნაშავე აცნობიერებს ქმედების ნიშნებს და, მიუხედავად ამისა, მაინც ახორციელებს მას, ე.ი. იგი მას სურს საფრთხის შექმნაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არ განახორციელებდა აღნიშნულ ქმედებას.

გარდა ამისა, მეორე თავში განხილულია მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტები. ე.ი. გამიზნითი, მიზნობრივი დელიქტები. ამ შემთხვევაში, უდავოა, რომ მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით, ვინაიდან ისინი მიზნით დაფუძნებული შემადგენლობებია. ე.ი. მიზანი არის მათი შემადგენლობის კონსტიტუციური ელემენტი. მეორე თავში აგრეთვე განხილულია ალტერნატიული განზრახვის არსი და მისი მიმართება საფრთხის დელიქტებთან. ალტერნატიული განზრახვით მოქმედი პირი თანაბრად უშვებს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, ამასთანავე მისთვის სულ ერთია ამათგან რომელი სამართლებრივი სიკეთე იქნება ხელყოფილი, ვინაიდან ერთ-ერთი შედეგის დადგომა უკვე იწვევს მის დაკმაყოფილებას. საინტერესოა, მისი საფრთხის დელიქტებთან მიმართების საკითხი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული განზრახვით შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ჩადენა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც დამნაშავეს შესაძლო შედეგებისადმი ევენტუალური განზრახვა გააჩნია. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში იგი გამოირიყხულია, რადგან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, აბსტრაქტული



საფრთხის დელიქტის დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას საფრთხე იმთავითვე რეალიზდება, რის გამოც ფიზიკურად აღარ რჩება ადგილი საფრთხისადმი დამნაშავის დამოკიდებულების დასადგენად, ვინაიდან მისი განზრახვა უკვე გამოკვეთილია ქმედების განხორციელებისთანავე.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია გაუფთხილებლობის ორივე სახით, თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით, საფრთხის დელიქტების ჩადენის საკითხი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ამ დროს დამნაშავე გაცნობიერებულად არღვევს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქცევას, თუმცა ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ მისი ქმედებით არ შეიქმნება კონკრეტული საფრთხე. მეტად საკამათოა, თვითიმედოვნებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენის საკითხი. აქაც იგივე პრობლემაა, როგორც ევენტუალური განზრახვის შემთხვევაში. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ საკითხის გასარკვევად, პირველ რიგში, ლოგიკურად უნდა გაანალიზდეს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ბუნება. მე, პირადად, წარმოუდგენლად მიმაჩნია, ადამიანს ერთის მხრივ გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ სჩადის წინდახედულობის ნორმით აკრძალულ, საშიში თვისებების შემცველ ქმედებას, რომლის განხორციელებაც იმთავითვე საფრთხის შექმნას გულისხმობს, და ამავედროულად, უსაფუძვლოდ ამყარებდეს იმედს სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებზე, რომ საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. აღნიშნული მსჯელობა დაუშვებელია ვინაიდან, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დისპოზიციაში მოცემული ქმედების განხორციელება, თავისთავშივე საფრთხის შექმნას წამოადგენს. რაც შეეხება დაუდევრობას, იგი სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, ვინაიდან ისინი შედეგიან დანაშაულებადაა მიჩნეული, დაუდევრობა კი, როგორც ბრალის სხვა ფორმები, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი. დაუდევრობით, აგრეთვე, თავისუფლადაა შესაძლებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა, განსახილველ შემთხვევაში დაუდევრობის ელემენტები უნდა დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი.

ნაშრომის მეოთხე თავში გაანალიზდა არაპირდაპირი განზრავით მცდელობისა და კონკრეტული საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხი. მისი განხილვა მართლაც ყურადსაღებია, ვინაიდან მცდელობის დროსაც, ისევე როგორც კონკრეტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას, სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე ექმნება. შესაბამისად, თუ სწორად არ იქნება გაანალიზებული ამ ორი ინსტიტუტის გამმიჯნავი დებულებები, ეს სერიოზულ პრობლემას შექმნის სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. გასახილველი საკითხის გაანალიზების შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა შეუძლებელია ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვინაიდან ამ დროს პირის მთავარი მიზანი სულ სხვაა, ხოლო დამდგარი შედეგი კი მისთვის არის მეორეხარისხოვანი, ვინაიდან იგი არ

მიისწრაფვის მისი დადგომისაკენ, არამედ პირიქით, მოხარულიც იქნებოდა, საერთოდ რომ არ დამდგარიყო ამგვარი შედეგი. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა, მაშინ როდესაც დამნაშავემ არაპირდაპირი განზრახვით დააყენა სხვისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ. ამ შემთხვევაში, ქმედების მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება მიზანშეუწონელია, რადგან დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანილია კონკრეტული საფრთხის დელიქტები, სწორედ იმ შემთხვევებისათვის, როცა ბოროტმოქმედი სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩადების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ან შეგნებულად უშვებს მას. ამგვარი შემთხვევა წმინდა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტია და არა მკვლელობის მცდელობა. შესაბამისად, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ არსებული განზრახვის შინაარსზეა დამოკიდებული ქმედება მკვლელობის მცდელობად შეფასდება თუ კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დანაშაულად. გაუმართლებლად მიმაჩნია, ხელოვნურად ქმედების მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება, იმ ფონზე როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალურად ამგვარი შემთხვევებისათვის შემოღებულია შესაბამისი მუხლები. აღარათყვეს ვამბობთ იმ პროცესუალურ სიძნელეებზე, რაც დაკავშირებულია ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის მიმართ მკვლელობის დამტკიცებასთან, მაშინ როდესაც ეს შედეგი რეალურად დამდგარი არ არის.

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, ნაშრომში გაანალიზებული ბოლო, 2016 წლით დათარიღებული, უზენაესი სასამართლოს განჩინებით ცალსახად დგინდება, სასამართლო პრაქტიკაში ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა. როგორც გამოჩნდა, სამივე ინსტანციის სასამართლოში ძირითადად პრობლემური იყო მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნა. აქ უმთავრესად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მხედველობაში მიიღება ბოროტმოქმედის ნების მიმართულება მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი, რაც უნდა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ლოგიკური შეფასებისა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობის შედეგად. ზემოთაღნიშნულ განჩინებაში უზენაესმა სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მთავარია სწორად შეფასდეს საქმის გარემოებანი და დადგინდეს დამნაშავის განზრახვა. მანვე მიუთითა, რომ ქმედების მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ სხეულზე არსებული დაზიანებათა სიმძიმე ან მათი ლოკალიზაცია. ყველაფერი, ერთად აღებული, ლოგიკურად უნდა იქნეს გაანალიზებული, შეჯერებული, რათა მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ შეცდომები სასამართლო პრაქტიკაში.

## **ბიბლიოგრაფია**

### **ქართულენოვანი წყაროები:**

1. მინდია უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1982;

2. თემურ ცეციტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2015;
3. თინათინ წერეთელი, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ. 2006;
4. თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი პირველი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007;
5. თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მეორე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007;
6. თინათინ წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მეოთხე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2010;
7. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ. 2008;
8. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ. 2011;
9. მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-6 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2016;
10. მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019;
11. მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მე-5 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2017;
12. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო) რედ. ი. დვალიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2007;
13. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო) მესამე გამოცემა, რედ.გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2018;
14. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, (სახელმძღვანელო) მეოთხე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019;
15. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2011;
16. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2013;
17. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, კაზუსის ამოხსნის მეთოდისა სისხლის სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2010;
18. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2011;

19. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი - დანაშაული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2014;
20. ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2000;
21. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2015;
22. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი - ირაკლი დვალიძე, თბ. 2010;
23. ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), თბ. 2014;
24. ლავრენტი მალლაკელიძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ თბ. 2012;
25. თამარ გეგელია, „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“, თბ. 2018;
26. თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ. 2007;
27. ზაურ მყავანაძე, ომარ მინდაძე, სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი (ლექციები, კომენტარები), ქუთაისი 2005;
28. ლამარა სურგულაძე, სისხლის სამართალი - დანაშაული, თბ. 2005;
29. ზაურ წულაია, სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ. 2000;
30. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), რედაქტორი - ოთარ გამყრელიძე, თბ. 2002;
31. ვ.ლ. მაყაშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1965, N 4;
32. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თინათინ წერეთლის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული - სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, გამომცემლობა: „მერიდიანი“, თბ. 2006;
33. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ოთარ გამყრელიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა: „მერიდიანი“, თბ. 2016;
34. ნონა თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007, N 2/3;

35. კახა წიქარიშვილი, ევენტუალური განზრახვა თანამდევროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, უერნალი „მართლმსაჯულება“, თბ. 2008;
36. თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, უერნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2014, N 4 (43)

### **უცხოენოვანი წყაროები:**

1. Claus Roxin, Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen Der Aufbau Der Verbrechenslehre, 4. Auflage, Munchen 2006;
2. Volker Krey, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, Band 1, Grundlagen, Tatbestandsmaigkeit, Rechtswidrigkeit, Schuld, 3. Auflage, 2008;
3. Horst Schroder, Abstrakt-konkrete Gefahrdungsdelikte, Juristen Zeitung 2, 2010;
4. Michael G. A. Christie, M.A. Criminal Law, Sixth Edition, OXFORD University Press, Edinburg 1996;
5. Janet Loveless, Criminal Law, Text, Cases and Materials, Third Edition, OXFORD University Press 2012;
6. Russel Heaton, Criminal Law, Second Edition, OXFORD University Press 2006;
7. David C. Brody, James R. Acker, Criminal Law, Third Edition, 2015;
8. AP Simester, JR Spencer, GR Sullivan, GJ Virgo, Criminal Law, Theory and Doctrine, Fifth Edition, 2013;
9. Catherine Elliot, Frances Quinn, Criminal Law, Tenth Edition, 2014;
10. Kenneth Smith, Denis Keenan, English Law, Longman, Thirteenth Edition, 2001;
11. John Smith, Mariana Hogan, Criminal Law, Butterworths, Tenth Edition, 2002;
12. R. A. Duff, Intension, Agency and Criminal Liability, OXFORD: Basil Blackwell, 1990;
13. Christopher H W Gane, Charles N Stoddart; James Chalmers, A Casebook on Scottish Criminal Law, Fourth Edition, London, 2009;
14. Mark Thornton, Intension in Criminal Law, Canadian Journal of Law and Jurisprudence, Vol. 5, N 2 (July 1992).

### **უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება N 745- აპ - 08 საქმეზე, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოთა გადაწყვეტილებები, თბ. 2008;

2. 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 227 აპ-16 კრებულში: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სისხლის სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილები, თბ. 2016;
3. 2018 წლის 21 მაისის განჩინება N 33 აპ-18 საქმეზე; ნანახია: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);
4. 2018 წლის 29 ივნისის განჩინება N 64 აპ-18 საქმეზე ნანახია: [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge).

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, 2019 წლის მდგომარეობით;
2. 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2019 წლის მდგომარეობით;
3. 1960 წლის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი.

### ელექტრონული წყაროები:

1. <http://www.supremecourt.ge/>
2. <http://ena.ge/>
3. <https://smythlawpc.com>
4. [http. Heinonline. Org](http://Heinonline.Org);
5. <https://www.jstor.org/>